# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№42 (1552) 3–6 მაისი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარლამენტმა მიანიჭა მძღოლს უფლებებიო, ინსპექტორი ვერას გიზამთ, გადიგდეთ ღვედიო...

საპარლამენტო კალენდრის მიხედვით, 1–2 მაისი დათმობილი ჰქონდა საქართველოს კანონის პროექტის მეორე მოსმენას „საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

ეს კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებსა და დამატებებს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმათა სისტემაში, რომლებიც შეეხებიან მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთა მიერ ჩადენილ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებს, აგრეთვე, იმ წესების დარღვევებს, რომლებიც მოქმედებენ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის სფეროში. ამდენად, ამ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა-არშეტანით პირველ რიგში საგზაო პოლიცია იყო დაინტერესებული. კანონპროექტის ავტორი შსს-თან ერთად საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტი გახლდათ.

მიუხედავად პროგნოზისა, რომელიც კანონდამრღვევ მძღოლთა მიმართ სანქციათა გამკაცრებას გულისხმობდა, პარლამენტართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უკვე პირველი მოსმენის შემდეგ კანონპროექტში შეტანილი იქნა ცვლილება, რომელმაც 241' მუხლი გააუქმა. ეს მუხლი, ალბათ, ყველა გამოვლენილ „შარაფისტ“ და „მორფინისტ“ მძღოლს კარგად ახსოვს, რადგანაც იგი მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას გულისხმობდა. პარლამენტარებმა გადაწყვიტეს, რომ სს.პასუხისგებაში მიცემა უკეთესი იქნება შეიცვალოს საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯარიმით, მაქსიმალური ჯარიმა (150 ლარი) ან მართვის უფლების ჩამორთმევით (3 წლამდე). გარდა ამ და სხვა წვრილმანი ცვლილებებისა ქართველ მძღოლთა სასიხარულოდ

2

## ავტობიოგრაფია

ავტობიოგრაფია,
ჩემი, გახლავთ ასეთი:
გადმოვედი აკვნიდან
და კუბოში ჩავწექი!..

6

## რეპორტაჟი რეპორტაჟიდან

ბორის წიფურია




ბორის წიფურია და მიხეილ მესხი

ვინც მიცნობს, ვერ იტყვის, რომ ფეხბურთი არ მესმის და თამაშს ვერ ვარჩევდე. ათეული წლები ემჯდარვართ ერთი და იგივე ჯგუფი გულშემატკივრებისა ჩვენსა თუ უცხოეთის სტადიონზე და დიდი განცდებიც მიმიღია.

წუხელ სრულიად მარტო მივუჯექი ჩემს ტელევიზორს, მოვიმზადე ყველაფერი. რეპორტაჟი ოგვიანებს რატომღაც. გადის წუთები. ველარ მოვითმინე და დავრეკე პირდაპირ უემბლის ტრიბუნაზე ქართველ გულშემატკივრებთან, ჯერ კოტიკო როგავამ, ხოლო შემდეგ უხუცესმა გულშემატკივარმა ოთარ ჭითანავამ (სპილომ – ასე ვეძახით მეგობრები) მიპასუხა. რაშია საქმე მეთქი? ჩვენები დგანან მოედანზეო და ქართული ჰიმნის ხმაც გაიგონე ტელეფონში. სიამაყით ავივსე, ინგლისიდან, უემბლიდან, ამასაც ხომ მოვესწარი. როგორც იქნა, დაიწყო თამაში... პირველი 10 წუთი ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება. ყოჩაღ ბიჭებო! გავიდა 30 წუთი და ზარია. სტამბულიდან რეკავს ჩემი მეგობარი კუკური მეფარიძე. რა ხდებაო? რა ხდება და ჩვენები მოიგებენ. აქ თურქები ბელგიასთან აგებენო. არ გასულა 5 წუთი და ისევ ზარია. კიდევ მეგობარი რეკავს, ექიმი გია შენგელაია ატლანტადან, ამერიკიდან. თუ არის გადაცემა, ჩვენები რას შერებიანო. ისიც იმედით ავავსე. დამთავრდა

2

## „ქართველი ერი ზ.გამსახურდიას წმინდანად შერაცხავს“

პ.გამსახურდიას საზოგადოებაში შეიქმნა ექსპ-პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ გარემოებათა დამდგენი საზოგადოებრივი კომისიის მხარდამჭერი ჯგუფი საზოგადოების პრეზიდენტის ვ.ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით. ჯგუფი, მის მიერ მოკვლეულ მასალებს აღნიშნული კომისიის ხელმძღვანელობას გადასცემს.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საზოგადოების პრეზიდენტმა ვ.ბოჭორიშვილმა განაცხადა: „რომც დადასტურდეს, რომ ზ.გამსახურდიამ თავი მოიკლა, ეს უბრალო თვითმკვლელობა არ არის. ეს არის თავგანწირვა საქართველოსათვის, რომლითაც მან ქვეყანა უამრავ საფრთხეს გადაარჩინა. დადგება დრო, როცა ქართველი ერი ზ.გამსახურდიას წმინდანად შერაცხავს“.

საზოგადოება რესპუბლიკის პროკურატურისაგან მოითხოვს – გამოაქვეყნოს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, თუ რა პირობებში მოიკლა თავი ექს-პრეზიდენტმა. (იფრინდა)

## ჯიბის აგენტი ხაზზეა

### სათაურის განმარტებისათვის — ჯიბის აგენტმა გურამ მუჩაიძემ აგენტთუფროსი გენერალი იგორ გიორგაძე თავის მოადგილედ გამოაცხადა...

რუსეთის ტელევიზიამ გუშინ გადმოსცა, როგორც წამყვანი „გვაინტრიგებდა“, სენსაციური ინფორმაცია. გადაცემის პერსონაჟი გახლდათ ოდიოზური „ქართველი“ ვაიპოლიტიკოსი, არც მეტი, არც ნაკლები, გურამ მუჩაიძე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტელეგადაცემის მეორე გმირი უფრო მეტად ოდიოზური იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძე გახლდათ, წარმოდგენილი გექნებათ, თუ რა მძაფრი სიუჟეტის მოლოდინში გაილურსებოდა მაყურებელი.

თურმე, იგორ გიორგაძე ახლახან გამხდარა მუჩაიძისეული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და იგი ამ ორგანიზაციის მოსკოვის ბიუროს თავმჯდომარედ დაუნიშნავთ.

მუჩაიძესთან რუსეთის ტელევიზიის კორესპონდენტის ტრაგიკულ-შეწუხებული ნოტებით გაჟღენთილ ინტერვიუში, პარტიის ბელადმა ბრძანა, რომ თურმე მისი პარტია განიცდის დევნას და არსებობს ლიდერის ანუ გ.მუჩაიძის ფიზიკური განადგურების საფრთხე.

მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, თურმე პარტიის ხელმძღვანელობა დაეკისრება მოსკოვის ბიუროს იგორ გიორგაძის სახით. მუჩაიძემ კიდევ ერთხელ იღალადა თავისი „პარტიული გამოძიებით“ დადგენილი „ჭეშმარიტების“ შედეგები და აუწყა ტელემაყურებლებს ტანჯული იგორ გიორგაძის უდანაშაულობის შესახებ. ამ გულისამაჩუყებელი სიტყვების შემდეგ ტელევიზიის წამყვანის კომენტარმაც არ დააყოვნა და გვახარა იმის თაობაზე, რომ გიორგაძე დაუბრუნდა ლეგალურ პოლიტიკურ საქმიანობას და მომავალში საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მოგვევლინება.

კომენტარი: იყო დრო, როდესაც საკავშირო სუკის გავლენიან მოხელეს იგორ გიორგაძეს მუჩაიძეები ჯიბის აგენტებად ჰყავდა დაქირავებული, ეტყობა, სათანადო ანაზღაურებით და სიკვდილამდე ვალდებულებებით. ყოფილი ჯიბის აგენტები, ახლა პარტიის ლიდერებად მოვლინებულნი, კვლავაც რუდუნებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

სადა ხარ ლუსტრაციის კანონო, გეჭირდები...

**ნ.თორელი**

## განა კარგი არ იქნებოდა, სტუმრებს ან მასპინძლებს გახსენებოდათ ინგილოები?!

5

## ბაბენკოვი არ აპირებს გადადგომას

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა დოლია ბაბენკოვმა უსაფუძვლო უწოდა საქართველოს მოთხოვნას მისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ოფიციალური წყაროების ცნობით, ბაბენკოვმა განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალების სარდლად იგი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა დანიშნა და სხვა არავინაა უფლებამოსილი მისი გადადგომის მოთხოვნაზე. (ბი ჯი აი)

## ნადარეიშვილი მყარად დგას თავის პოზიციაზე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ თუ რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ამოწურვამდე – 31 ივლისამდე – ვერ მოხერხდება აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირება, უნდა გადაიხედოს რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები, ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ძალის გამოყენებით უნდა აღდგეს. თამაზ ნადარეიშვილმა წარმოადგინა დოკუმენტური მასალები, რომლებიც ცხადყოფენ აფხაზეთისათვის რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მხრიდან დახმარების გაწევის ფაქტებს. (ბი ჯი აი)

## „ხელისუფლება ცდილობს ჩამოიცილოს პოლიტიკური ოპონენტები“

„თუ შსს-ს პრეს-ცენტრი ორი კვირის განმავლობაში არ უარყოფს თავის განცხადებას, რომელშიც ჩემი დაკავების მიზეზად მოყვანილი იყო ბინის ქურდობა, მე მოვაწყობ საუკუნის სასამართლოს“ – განაცხადა პრეს-კონფერენციაზე წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრმა გიორგი ჩხიკვაძემ, რომელიც 24 აპრილს ხარაგაულის რაიონის სასამართლომ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. გ.ჩხიკვაძის თქმით, შსს-ს პრეს-ცენტრის განცხადებით მოხდა მისი, როგორც პოლიტიკოსის, დისკრედიტაცია, შეილახა ილია მართლის საზოგადოების, პირადად მისი და მისი ოჯახის ინტერესები. საზოგადოების წევრთა თქმით, საზოგადოება კვლავაც დგას რეპრესიების წინაშე. მათივე თქმით, „ხელისუფლება ცდილობს ჩამოიცილოს პოლიტიკური ოპონენტები, რომლებიც ამხელენ მათ“ (იფრინდა)

## «რატომაა გაჩუმებული ხელისუფლება?»

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერს პანტელეიმონ გიორგაძეს აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით დარეგულირებაზე საუბარიც კი დაუშვებლად მიაჩნია. BGI- ის კორესპონდენტთან საუბარში მან ასეთ მოწოდებებს პოპულისტური უწოდა და განაცხადა, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა აკრძალოს ლტოლვილებისათვის მოწოდებები აფხაზეთში ძალით დაბრუნების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნა გიორგაძემ, საქართველოში არასოდეს შეწყდება სისხლისღვრა. (ბი ჯი აი)

# პარლამენტმა მიანიჭა მძღოლს უფლებებიო, ინსპექტორი ვერას გიზამთ, გადიგდეთ ღვედიო...

პირველი გვერდიდან

კანონპროექტს დაემშვიდობა 124–ე მუხლიც, რომელიც აწესებდა ადმინისტრაციულ სახდელს უსაფრთხოების ქამრების, მცირე აფთიაქებისა და ცეცხლმაქრის უქონლობის გამო. ასე რომ, ძვირფასო მძღოლებო, კანონპროექტის ბოლოო მოსმენით მიღებიდან (სადამდეც რამოდენიმე კვირაა დარჩენილი) შსს–ს შიდა ბრძანებებზე აღარ იქნება დამოკიდებული ქამრების, აფთიაქებისა და ცეცხლმაქრების გამოყენება, ქონა–არქონაზე „სუქანი“ ჯარიმების დაწესება–არდაწესება. ასე რომ, ძვირფასო ავტომოყვარულებო, თვალი ადევნეთ გაზეთ „საქართველოს“, სადაც კანონპროექტის „გაკანონებისთანავე“ შეგატყობინებთ ზემოთ აღნიშნულ სიახლეებთან ერთად დაწესებული ჯარიმების მინიმალურ და მაქსიმალურ ზომებს.

**კობა კიკნაძე**

# რეპორტაჟი რეპორტაჟიდან

პირველი გვერდიდან

პირველი ტაიმი და ისევ ზარი, რომელიც არ გავს თბილისურს, უფრო ექოსავით ისმის, რომელი ხარ? ბორია ვარ, აკობიაო, შვეციიდან, ქგეტებორგიდან. დავუმალე – ნოლით ნოლი დამთავრდა პირველი ტაიმი–მეთქი. უხარია! კიდევ დაგირეკავო და ასე ამგვარად ყოველ თხუთმეტ წუთში ხან თურქეთში, ხან ამერიკაში და ხან შვეციაში გადავცემდი მოკლე რეპორტაჟებს და რას გადავცემდი? იმას, რომ საქართველოს ნაკრები როგორ უმკლავდებოდა ინგლისის ნაკრებს. ხუმრობა საქმეა? ყოჩაღ, ბიჭებო! არ გამოვყოფ არცერთს, კი, ვეთანხმები კომენტატორებს, რომ ქეცბაია–შელია კარგები იყვნენ, შეტევას ვერ აგვირგვინებდნენ გოლით, მაგრამ გაიხსენეთ გუშინწინ ვისთან თამაშობდნენ, რა სტადიონებზე, რა მაყურებელთან, რაოდენობა მაქვს მხედველობაში და მერე მოვთხოვოთ. მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, მარტო საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელი ვერ გაიზრდება, ჩვენ რომ გვინდა, ისეთი კლასის. ვინც გაიზარდა, იმასაც უნდა თავი დავუხაროთ. სტადიონები ჩვენ არ გვაქვს, სკოლებში მოედნები არ არსებობს, ეზოები გარაჟებით არის გავსებული, ქუჩები ხომ არ გვივარგა და სად სწავლობენ ეს ბავშვები ბურთის თამაშს, ძალიან გასაკვირია. სოფლებში ხომ საერთოდ აღარ არსებობს მინდვრებიც კი, სადაც ბურთი სწორად გაგორდება. ჩვენი ბიჭები შეუძლებელს აკეთებენ. ყოჩაღ, ბატონო დავით ყიფიანო! მახსოვს იტალიელებთან წავაგეთ სახლში, მაგრამ ჩემთვის ის თამაში მოგების ტოლფასი იყო. არც წუხანდელი თამაშით ვარ უკმაყოფილო და ასეც გადავეცი ჩემს უცხოეთში მცხოვრებ მეგობრებს, სადაც ზოგან დილა იყო და ზოგან დილის 5 საათი და ჩვენებზე ფიქრში ათენებდნენ ღამეს. ვიცი, არსებობს გულშემატკივართა კლუბი, მაგრამ რას აკეთებს, სამწუხაროდ, არ ვიცი. მაგრამ ერთი რამ რომ უნდა გააკეთონ, ეს ნამდვილად ვიცი. უნდა შეიქმნას გულშემატკივართა ჯგუფი, სულ ცოტა 100 კაცი მაინც. ესენი უნდა იყვნენ ახალგაზრდები, გაწვრთნილები და შემოსილები, ატრიბუტებით და სხვადასხვა ხელსაწყოებით. თუნდაც 4 დოლით და ოთხი გარმონით, დაფაზურნებით, როგორც მაჩაბელი მიუძღოდა მეომრებს და ამდაგვარი რამ. არაფერი ბედენაა, იჯდე იარუსზე და შენთვის ნერვიულობდე და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდე, გუნდს კი ვერ ამხნევებდე. მახსენდება დიუსელდორფი, სადაც 150–მა კაცმა მოვუგეთ გერმანელთა მრავალრიცხოვან მაყურებელს და თასიც ჩამოვიტანეთ. ასე რომ, ჩემი ანგარიშით ინგლისში ფრე ვითამაშეთ, ძელს მოხვედრილი ბურთი ჩავთვალე, ხოლო ბოლო წუთზე მსაჯის მიერ გატანილი ბურთი მისი სამსაჯო კარიერისთვის მიჩუქებია და მიმიფურთხებია. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ბოლო წამზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება, როცა გუნდი აგებს, დიდი არაფერი ვაჟკაცობა და პრინციპულობაა. ასე რომ, ყოჩაღ ბიჭებო, წინ კიდევ ბევრი რამ გელით და თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, წუხელ მთელი საქართველო თქვენთან იყო და იქნება მარად.

*დათო ყიფიანს – „სად მოულობს ეს კაცი ასეთ იარაღს, დამიზნებაც არ ჭირია, მაგრამ არის კიდევ უკეთესი, კაპიკიანს რომ ააგდებ, ესერი და გაქრება. ლაზს შეუძლია ეგ ათიდან ცხრაჯერ“.*

*ასეთი დამიზნების სწავლაა ზედმიწევნით საჭირო და ყველაფერი კარგად იქნება.*



ბორის ციფურია და დავით ყიფიანი

# შევარდნაძემ შანსი მისცა მოქალაქეთა კავშირს

*საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა როგორც იქნა მიიღო ფინანსთა მინისტრის პორტფელი. გურიის გუბერნატორი მიხეილ ჭკუასელი დიდი ფიქრის გარეშე დათანხმდა ამ თანამდებობას. ბევრისათვის, რამდენიმე მიზეზის გამო, პრეზიდენტის ეს არჩევანი მოულოდნელი აღმოჩნდა.*

ჯერ ერთი, იგი საკმაოდ ახალგაზრდაა და არ გააჩნია ფინანსურ სფეროში მუშაობის საკმაო გამოცდილება ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად. ამასთანავე, მას საერთოდ არ იცნობენ საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურები. ზოგიერთი იმასაც არ მოელოდა, რომ პრეზიდენტი თავის არჩევანს მოქალაქეთა კავშირის კაცზე შეაჩერებდა.

მოქალაქეთა კავშირისათვის კი ეს ფაქტი მოულოდნელობას ნამდვილად არ წარმოადგენდა. მათ საქართველოს პრეზიდენტს თავდაპირველად ქვეყნის ფინანსთა მინისტრის პოსტზე საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრის დავით ონოფრიშვილის კანდიდატურა შესთავაზეს. თუმცა პრეზიდენტმა პარლამენტარის მთავრობაში შეყვანაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

კომპრომისულ გადაწყვეტილებად ედუარდ შევარდნაძეს და მოქალაქეთა კავშირს შორის არადეპუტატი მიხეილ ჭკუასელის კანდიდატურა იქნა მიჩნეული.

ის, რომ მიხეილ ჭკუასელი მთლიანად ეკუთვნის მოქალაქეთა კავშირს, ნამდვილად ეჭვგარეშეა, თუ მისი ბიოგრაფიის ახლო წარსულის ფაქტებს გავიხსენებთ. იგი საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სათავეებში იდგა პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერთან გიორგი ბარამიძესთან ერთად. მიხეილ ჭკუასელმა, რომელმაც თავისი კარიერა მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის თანამდებობიდან დაიწყო, 24 წლის ასაკში ედუარდ შევარდნაძის მშობლიური კუთხის გურიის გუბერნატორობას მიაღწია.

გურიაში ჭკუასელს სხვადასხვა გვარად ახასიათებენ, ზოგი, როგორც ენაწყლიან ორატორს და ქართული სუფრის შესანიშნავ თამადას, თუმცა ამასთან მას ალკოჰოლის მიღება კატეგორიულად ეკრძალება. ზოგიც მას სუსტ, არცთუ უცოდველ გუბერნატორად მიიჩნევს, იხსენებენ მის უთანხმოებებს ფირმა „მარტინ ბაუერის“ ინვესტიციებთან, სკანდალებს საკუთარი ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, მოსახლეობის მიერ მისი კაბინეტის კარების აჭედვას, მასწავლებლებისათვის ხელფასების გაუცემლობას და სამხარეო ბიუჯეტის ქრონიკულ შეუსრულებლობას.

არც მეტი, არც ნაკლები – დღეს მიხეილ ჭკუასელმა ფინანსთა მინისტრის პორტფელი მიიღო – თანამდებობა, რომელზეც საქართველოში ბევრი ამთავრებს თავის კარიერას.

ხელისუფლების სტრუქტურებში დღეს ბევრს აწუხებს ერთი და იგივე კითხვა: რატომ აირჩია პრეზიდენტმა მაინც და მაინც მიხეილ ჭკუასელი?

ფინანსთა ექს–მინისტრის დავით იაკობიძის წასვლის შემდეგ მინისტრობის კანდიდატთა სიაში ჭკუასელის გარდა კიდევ სამი კანდიდატურა იყო.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმებში ჩადებული დიდი წვლილისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან კარგი დამოკიდებულების გამო, ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს ფინანსთა მინისტრის პოსტზე შესაფერის კანდიდატურად პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ რეფორმებში თემურ ბასილია მიაჩნდა. მაგრამ, მოქალაქეთა კავშირი ბასილიას წინააღმდეგი წავიდა და პრეზიდენტს არ გააჩნდა იმის გარანტია, რომ თემურ ბასილიას ისევე არ ჩააგდებდა პარლამენტი, როგორც ადრე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურა.

მინისტრის პოსტის დაკავების ნაკლები, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო შანსები გააჩნდა გაერთიანებული ქართული ბანკის გამგეობის თანათავმჯდომარეს თამაზ მაღლაკელიძეს. მის კანდიდატურაზე უარის თქმა ადასტურებს გავრცელებულ ხმებს, თითქოს ედუარდ შევარდნაძე გაერთიანებული ქართული ბანკის ხელმძღვანელობის უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მათ აქტიური როლი ითამაშეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურის ჩაგდებაში ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში დამტკიცების დროს.

და კიდევ ერთი კანდიდატი, რომელიც აუტსაიდერად გამოიყურებოდა პრეტენდენტთა ოთხეულში – თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე–პრემიერი ვანო ზოდელავა. ამ უკანასკნელს ფოთის მერის თანამდებობა ხვდა წილად, რაც მისთვის ნამდვილად საუკეთესო ვარიანტია.

ამ გადანაწილებას თუ გავითვალისწინებთ, ჩამოთვლილი კანდიდატებიდან მიხეილ ჭკუასელის არჩევა საკმაოდ კანონზომიერი გამოდის. მოქალაქეთა კავშირმა, როგორც იქნა, მიიღო თანამდებობა, რომლისთვისაც პარლამენტში მოსვლის დღიდან იბრძოდა. ისინი არწმუნებდნენ პრეზიდენტს ეკონომიკური რეფორმების გატარებაზე პასუხისმგებლობის მათზე დაკისრების აუცილებლობაში და შევარდნაძემაც მისცა მათ ამის საშუალება. ამასთან ერთად ედუარდ შევარდნაძემ წინასწარვე კარგად იცოდა, რომ მიხეილ ჭკუასელს ძალიან გაუჭირდება ამ თანამდებობაზე და რომ კარიერის ამ საფეხურზე ასვლა ეშაფოტზე ასვლის ტოლფასია.

თუმცა, ეს მოქალაქეთა კავშირმაც კარგად იცის. მაგრამ ამ შემთხვევაში მიხეილ ჭკუასელის ფიგურა მათთვის ბევრს არ ნიშნავს. ის მათი კაცია, პარტიის სიტყვის დამჯერი ადამიანი და თუ იგი ვერ გაუძლებს დაკისრებულ ვალდებულებებს, შემოდგომისთვის გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მაინც დაეხმარება პარტიას. ეს კი ბევრს ნიშნავს მოქალაქეთა კავშირისათვის.

მაგრამ, ჯობია არ გავუსწროთ მოვლენებს. ექს–გუბერნატორს მიხეილ ჭკუასელს მივცეთ მინისტრის პოსტის ჩაბარების საშუალება.

**ინგა დადიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომელი კრიტერიუმებით ვანიჭებთ საუკეთესო ბიზნესმენთა წოდებებს?

„ლიტერატურული საქართველოს“ აწ. 25 აპრილი – 2 მაისის ნომერში დაიბეჭდა დათო ცისკარიძის რეპლიკა „სად გაქრა ბატონი გეგიძე“, რომელიც ეხებოდა აშკარა ტენდენციურობის ფაქტს ტელეჟურნალისტების მხრიდან. მათ მიკერძოებულად გააშუქეს ისედაც ძალიან საეჭვო შოუ, რომელსაც გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“ აწყობს ეს მეორე წელია (თვითონ „ტრადიციულს“ უწოდებენ, მაგრამ ჯერ რა დროს ტრადიციაზე ლაპარაკია) და მიზნად ისახავს ვითომდა წლის საუკეთესო ქართველი ბიზნესმენის გამოვლენასა და დაჯილდოებას სასტუმრო „მეტეხში“.

ამ გამოთქმებს, „ძალიან საეჭვო“ და „ვითომდა“, მოვერიდებოდით, ყველასთვის ნათელი რომ არ იყოს, ამ გაზეთის, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობა ბიზნესმენთა რეიტინგის შედგენის სფეროში.

თვითონ თავს იმით იმართლებენ (იხ. „ახალი თაობა“, აწ. 16 აპრილი), „რეიტინგის თავდაპირველ სიაში ფირმებისა და მათი ხელმძღვანელების შეყვანა... როგორც ჩანს, დასახვეწი აღმოჩნდაო“, მაგრამ დახვეწილი როგორ იქნებოდა მათი მეთოდი, როცა კრიტერიუმის შემუშავებისას არაფრად ჩააგდეს ყველაზე მთავარი – სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების შეტანა, და ეს იმის მომიზეზებით, „ამ შემთხვევაში, ექსპერტებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტების წარდგენა დაგვეჭირდებოდა, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე არ გაგვაჩნიაო“.

კითხულობ და ვერ იჯერებ, რომ სერიოზულმა ადამიანებმა ასეთი რამ შეიძლება დაწერონ. თუ ფინანსური დოკუმენტების წარდგენის საშუალება „ამ ეტაპზე“ არ გააჩნდათ, რის მიხედვით შეეძლოთ ექსპერტებს გარკვეულიყვნენ ფირმების სოლიდურობასა და პერსპექტივებში? ამ ფირმათა წარმომადგენლების ნაამბობის საფუძველზე? სანდო წყაროები კი ჰქონიათ ხელთ!

საინტერესოა, ის 80 ექსპერტი ვინღაა? კომპეტენტური პიროვნებანი რომ თავს უფლებას არ მისცემდნენ ასეთი ყოვლად ზერელე დასკვნები გამოეტანათ, ესეც ყველასთვის ნათელია. ხოლო თუ პროფესიონალები არიან, ამგვარ გაუგებრობაში მონაწილეობას როგორ დათანხმდნენ?

გაზეთ „ჯორჯიან თაიმსს“ მარტო ბუქის დაყენება და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა არ აკმაყოფილებს. რედაქცია თავგამოდებით ცდილობს ყოველმხრივ დაეხმაროს მის მიერ „მეექვსე ბიზნესმენად“ მონათლულ, ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტს თამაზ ელიზბარაშვილს, რომელიც ამჟამად დაკავებულია.

ვის ან რატომ უნდა დაეკავებინა „მეექვსე ბიზნესმენი“?

როგორც პროგრამა „მსგეფსში“ პროკურორის გამოსვლიდან გახდა ცნობილი, „გამოძიების ამ ეტაპზე დღეისათვის მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოძიებას გააჩნია მასალები, რითაც მტკიცდება, რომ ყაჩაღური თავდასხმები 1996 წლის 5 სექტემბერს და 1997 წლის 14 მარტს განხორციელებული იყო კომერციულ ფირმა „ელიზთან“ ჩამოყალიბებული ჯგუფის მიერ. ეს ჯგუფი თავიდანვე ჩამოყალიბებული იყო ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის გადაწყვეტილებით და მის მუშაობას უშუალოდ თამაზ ელიზბარაშვილი ხელმძღვანელობდა... თავდასხმები ხორციელდებოდა ძალიან კვალიფიციურად და ორგანიზებულად. თავდასხმის შედეგები დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა ფირმის პრეზიდენტს...“

სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონიათ საკმაო საფუძველი ასეთი პრეზიდენტის დასაკავებლად.

გასარკვევია, ასე რატომ არის დაინტერესებული გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“ ყაჩაღური ბანდის ხელშეწყობით?

თუ ჰუმანურობით მოსდის, მაშინ ხომ იმ ფირმის ბედით უფრო უნდა იყოს გულშეძრული, რომელიც თამაზ ელიზბარაშვილის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ ორჯერ გაძარცვა და, სამართალდამცავი ორგანოები რომ არა, კიდევ რას შეამთხვევდა, ღმერთმა იცის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი ბოლომდე გამოაშკარავდება და ყაჩაღთა ხელშემწყობებს (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზოგიერთმა გაზეთმა) რა მოტივები ამოქმედებდათ, დეტალურად შეიქმნება ნათელი საზოგადოებისათვის.

ნინო თალაკვაძე

● სასამართლო პროცესი

# ვინ ჩაიდინა ხუთი ადამიანის მკვლელობა?

1 მაისს უზენაეს სასამართლოში იური ტაბუცაძის თავმჯდომარეობით ე.წ. ბორჯომის საქმის პროცესი გაიმართა. სასამართლო სხდომაზე განსასჯელებმა ჩვენებები მისცეს. პირველ რიგში დაიკითხა კონცერნ „ბორჯომის ხეობის“ ყოფილი პრეზიდენტი, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის ყოფილი გენერალური დირექტორი – განსასჯელი თამაზ კურტანიძე, რომელსაც ბრალად ედება 5 ადამიანის მკვლელობაში მონაწილეობა, ბანდიტიზმი და სახელმწიფო ქონების დატაცება. თ.კურტანიძის თქმით, გამოძიების შედეგად მას „მხედრიონის“ იარლიყი მიაკერეს, რასაც განსასჯელი უარყოფს და უსაფუძვლოდ თვლის. მხედრიონს ოფისი ვაშლოვანში ჰქონია, სადაც იმჟამად სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა. „ჩემთან მოდიოდნენ ჩემი სურვილის მიუხედავად, რადგან მათ ვჭირდებოდი და მეც იძულებით დახმარებას ვწევდი“ – განაცხადა თ.კურტანიძემ. ის ეწეოდა ქველმოქმედებას აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა თუ დაჭრილთა დასახმარებლად.

თ.კურტანიძეს მხედრიონელ გოჩა თედიაშვილთან (ეს ის მოწმეა, რომელიც წინა სხდომაზე დაიკითხა და აღიარა გია გულუას, სოლიკო ხაბეიშვილის, გია ჭანტურიას და სხვათა მკვლელობაში აქტიური მონაწილეობა) დამოკიდებულება ცუდი ჰქონია: „გოჩა თედიაშვილის მეუღლე იძულებით მივიღე ტელევიზიაში დირექტორად. აგრეთვე ქარხნის კუთვნილი ვიდეომაგნიტოფონის დაბრუნება როცა ვთხოვე გოჩას, ის იარაღით დამემუქრა, რისი მოწმეებიც თანამშრომლები არიან. გამოძიების ზეწოლით დავწერე, რომ განსასჯელებმა – გია იობაშვილმა და მიშა სამსონაშვილმა მოკლეს ოფისში მყოფი 5 ადამიანი.“

თუ ვინ ჩაიდინა 5 ადამიანის მკვლელობა, თ.კურტანიძემ არ იცის, თუმცა, მისი თქმით, მკვლელობის ჩადენის დროს ოფისში იმყოფებოდნენ შემდეგი პირები: ჯუბო საყვარელიძე, გოჩა, პაატა თედიაშვილები, გია იობაშვილი და მიშა სამსონაშვილი. სროლების დაწყებამდე, კურტანიძის თქმით, ის საპირფარეშოში, ქვემოთ, კიბეებზე ჩადიოდა, როცა დაინახა ზემოთ მიმავალი პაატა თედიაშვილი და ჯუბო საყვარელიძე. ცოტა ხანში მან გაიგონა სროლის ხმა. განსასჯელი თამაზ კურტანიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს, თუმცა, აღიარებს იმ ფაქტს, რომ დამალა მომხდარი დანაშაული და მონაწილეობა მიიღო მკვლელობის შემდეგ იატაკის მოწმენდაში.

განსასჯელს, არტიომ ხითარიშვილს ბრალად ედება დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა. აგრეთვე,

გაგრძელება მე-8 გვ.

## გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს!

მე თქვენი გაზეთის დიდი მოყვარული ვარ. დღევანდელ ჭირვეულ ცხოვრებაში, როდესაც ყველაფერი არეულია, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს, მათხოვრობს, ხალხი ითხოვს დახმარებას, დაკარგა ნდობა ზემო ეშელონის, ყველა თავის თავზე ზრუნავს და არა ხალხზე.

ყველა პატრიოტი, ლტოლვილი შვებით ამოისუნთქავს გაზეთ „საქართველოს“ წაკითხვით, რომელიც მიუკერძოებლობით, მართალი სიტყვით სულიერად კვებავს მკითხველს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ კახა თარგამაძის და თქვენი საუბარი ჩემს გულისტკივილსაც შეეხო, რამაც მიბიძგა ამ პატარა ბარათით მოგმართოთ, ქალაქ სოხუმის პოლიციის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ თენგიზ რაფავას გმირული ბრძოლები შეისწავლოთ და გამოაქვეყნოთ.

ქ.სოხუმის ყველა მცხოვრებისათვის კარგადაა ცნობილი, როგორი თავგანწირვით იცავდა მოსახლეობას ბანდიტებისაგან, როგორ ვაჟკაცურად იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე, იქ, სადაც მეტად ჭირდა.

შრომის ფრონტიდან დაბრუნებულმა დაჯდომა ვერ მოასწრო, ისე აცნობეს, მტერმა ფრონტი გაარღვია, წინ მოიწევსო. ერთი თავის თანამშრომლით (ჯიჯონაია) და კურსანტებით ეკვეთა მტერს. კურსანტებს შეეშინდათ, პანიკით დატოვეს ფრონტი. ორი კაცი პირისპირ შერჩა აფხაზებს, ვაზნები შემოელიათ, დაიჭრნენ, მტერს ხელში ჩაუვარდნენ. მათი მოძიების შესახებ დღემდე არავის ამოუღია ხმა, არც მისი ოჯახი გაუხსენებიათ, მისი ბიჭი პოლიციის აკადემიაში სწავლობს.

მით უფრო სამწუხაროა და გულსატკენი, რომ უღირსი პიროვნებები ჯილდოვდებოდა და სამშობლოსათვის ასეთი თავგანწირული პიროვნება გამორჩათ და დავიწყებას მიეცა.

სამამულო ომის ვეტერანი, 86 წლის ვალერიან არონია

# ახალი დანიშვნები

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, დღეიდან, ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა 27 წლის მიხეილ ჭკუასელი, რომელსაც ამ პოსტზე დანიშვნამდე, გურიის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა ეკავა.

პრეზიდენტის რწმუნებულად გურიის მხარეში დაინიშნა ოლეგ ნიკოლაიშვილი, რომელიც ახალ დანიშვნამდე პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, ფოთის მერის თანამდებობაზე დაინიშნა თბილისის ვიცე-მერი ივანე ზოდელავა.

იპრინდა

## დამკვირვებლები ითანამშრომლებენ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან

თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ახალი ხელმძღვანელი პარუნ ალ რაშიდი. მისი ოფისი სოხუმშია განთავსებული. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან თამაზ ნადარეიშვილთან თბილისში გამართულ შეხვედრაზე პარუნ ალ რაშიდმა აღნიშნა, რომ გაეროს სამხედრო დამკვირვებლები მჭიდროდ ითანამშრომლებენ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან. მათი აზრით, დროა, სისრულეში მოვიდეს აფხაზეთის შესახებ მიღებული რეზოლუციები. პარუნ ალ რაშიდი მიიღო საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ. მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო კვლავაც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მომხრეა და უკმაყოფილება გამოთქვა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობის უმოქმედობის გამო. (ბი ჯი აი)

# 29 აგვისტოს ტერაქტმა მობინადრეების დააზარალა



ეს სახლი (ლადიძის ქ.№2) (ე.წ. კადეტთა კორპუსი) ხანდაზმულობისა და სარესტავრაციო სამუშაოების ჩაუტარებლობის მიუხედავად, ასე თუ ისე, მაინც მყარად იდგა, მაგრამ 1995 წლის აგვისტოს ვერაგული ტერორისტული აფეთქების შედეგად, მას ძალიან დაუზიანდა წყლისა და კანალიზაციის სისტემა. წყალმა დატბორა სახლის სარდაფები, რამაც გამოიწვია ფუნდამენტისა და საყრდენი კედლების დეფორმაცია. კედლებსა და ჭერს გაუჩნდა ავისმომასწავებელი ბზარები. გარდაუვალი კატასტროფა ემუქრება რამდენიმე ათეულ ოჯახსა და გერმანულ საბავშვო ბაღს „იას“, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის.

დახმარებისათვის მობინადრეებმა მიმართეს მრავალ ინსტანციას, მაგრამ უშედეგოდ!

მართალია, სახლში არსებული ბინები პრივატიზირებულია, მაგრამ ასეთი ფუნდამენტური სამუშაოების ჩატარების ხარჯები აქ მცხოვრებ ოჯახებს არ გააჩნიათ. არადა, მისი დროულად არმიხედვის შემთხვევაში მოხდება დიდი კატასტროფა, რაც ბევრი ადამიანის (მათ შორის ბაღის აღსაზრდელთა) სიცოცხლეს შეიწირავს!



მაია დათიაშვილი

## შეთანხმება რატიფიცირებულია

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რატიფიცირებულია შეთანხმება ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ. შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ ინფორმაცია პარლამენტს წარუდგინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბურდულმა. ამ ხელშეკრულების მიხედვით დაგეგმილია ამერიკისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ერთობლივი წრთვნა საქართველოს ტერიტორიაზე. ამერიკელი სამხედროები თვენახევრის განმავლობაში ქართველ კოლეგებთან ერთად იმუშავებენ და ყოველივე ეს ამერიკული მხარის ხარჯზე განხორციელდება. ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრმა.

## კვლავ კრედიტები

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრაზე ევრობანკის წარმომადგენლებმა ტერ მალირემ და ალექსანდრე მოსტოვოიმ აღნიშნეს, რომ ბანკმა 12 მილიონი დოლარი გამოუყო საქართველოს კრედიტის სახით, რომელიც ქვეყნის 4 წამყვან ბანკზე განაწილდება მათი გაძლიერებისა და საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. გარდა ამისა, ევრობანკს 40–45 მილიონი დოლარის კრედიტის გამოყოფა აქვს დაგეგმილი საქართველოსთვის.

შეხვედრაზე განიხილეს ენგურჰესის ელექტროსადგურისა და კაშხალის რეკონსტრუქციისა და აღდგენის საკითხი, რისთვისაც 50–60 მილიონი დოლარის ინვესტიციებია საჭირო. (ბი ჯი აი)

## განაჩენი გამოტანილია

საქართველოს უზენაეს სასამართლოში განაჩენი გამოუტანეს ძმებს თამაზ და ირაკლი ცაბაძეებს, ლევან გაბუნიას და გიორგი გარსიაშვილს. ყველა მათგანი ბატალიონის „თეთრი გიორგი“ ყოფილი წევრია და დამნაშავეებად არიან მიჩნეული თბილისში 1993 წლის 9 ნოემბერს მომხდარ სამი ადამიანის მკვლელობაში. ირაკლი ცაბაძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, გიორგი გარსიაშვილს 13 წელი, ლევან გაბუნიას – 9, ხოლო თამაზ ცაბაძე სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. (ბი ჯი აი)

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

ჩვენთვის საინტერესოა, რა სიძლიერისა და მნიშვნელობის აღმოჩნდა გერმანიის ის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ვითარება, რომელიც ციტირებულ მოხსენებაშია აღწერილი, და მოკავშირეთა მტკიცე ფედერაციონალისტური პოლიტიკა გერმანიის მდგომარეობის განსაზღვრაში. ამ კითხვის პასუხი ასეთი გახლავთ: გერმანიის იმ კანონმდებელ კრებაში, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი შეადგინა მოკავშირეთა ზემოხსენებული გავლენის ქვეშ, ფედერალისტურმა განწყობამ გადამწყვეტი გამარჯვება ვერ მოიპოვა. ისევ ციტატი: „პარლამენტურ საბჭოში იმის თაობაზე ერთსულოვანნი იყვნენ, რომ საოკუპაციო ძალების გამონათქვამი მხედველობაში კი მიეღოთ, მაგრამ კონსტიტუცია მაინც საკუთარი წარმოდგენების მიხედვით შეემუშავებინათ და მოკავშირეებისათვის შემდეგლა დაეჭერინებინათ ესა თუ ის პოზიცია კონსტიტუციის პროექტისადმი მთლიანად“ (ჰუნი, ციტ. შვ. გ. 31). შედეგიც შესაბამისი იყო: „გერმანიის სახელმწიფომ თავისი ქმედუნარიანობა დაამტკიცა და ისეთი პოლიტიკის წარმოება შეძლო, რომელმაც მსოფლიოში პატივისცემა მოუპოვა. ნეგატიური შედეგები, რომელთა იმედიც ჰქონდათ, შესაძლოა, 1949 წელს ზოგ-ზოგ გამარჯვებულ ძალებს, არ დადგა“ (შმიდი, ციტ. შრომა, გვ. 259). გერმანიის კონსტიტუციისმდებელმა კრებამ მიიღო კონსტიტუცია, რომლითაც გერმანული სახელმწიფო ჩამოყალიბდა „კოოპერატიული ფედერალიზმის“, ინტეგრაციულ-ფედერალისტური სისტემის სახით (რას ნიშნავს ეს ტერმინები, ქვემოთ განვმარტავთ) და გერმანიის როგორც კანონმდებელმა, ისე აღმასრულებელმა ხელისუფლებმა მოინდომეს ამ კოოპერაციის განხორციელება“. (განახორციელეს კიდეც). თვით კონსტიტუციის ტექსტშივე, ამ ხელისუფალთა სურვილის პარალელურად, ჩადებული იქნა იმის ჩანასახი, რომ გერმანია ცენტრალიზმისკენ განვითარებულიყო და იგი განვითარდა კიდეც ამ მიმართულებით, რის კონსტატაციაშიც ზემოხსენებული მიმომხილველნი და მკვლევარნი (განურჩევლად მათი დამოკიდებულებისა ფედერალიზმისადმი) ერთსულოვანნი არიან. დავიმოწმებთ მათ: „გერმანიის ფედ. რესპუბლიკის განვითარება ადასტურებს თეზისს, რომ ინტეგრალურ-ფედერაციული სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობა წანამძღვარია ფედერაციული პოლიტიკური სისტემისთვის“. ახალი სახელმწიფოსამართლებრივი გამოკვლევები ფედერალიზმის შესახებ გამუდმებით „მიგვითითებენ დემოკრატიული ინდუსტრიული საზოგადოების გამათანასწორებელ ტენდენციაზე, თანამედროვე საზოგადოების მობილურობაზე, სამეურნეო დინამიკის სიფართესა და ცენტრალიზაციის ტენდენციაზე, სოციალურ-სახელმწიფოებრივი და სამეურნეო-ინტერვენციონისტური პროცესების გამაერთიანებელ და მაცენტრალიზებულ ხასიათზე, ზოგადად – ინდივიდებისა და ჯგუფების ტერიტორიული განსაზღვრულობების დასუსტებაზე მათი საგნობრივ-ფუნქციონალური ბმულობის პირისპირ. თანამედროვე ინდუსტრიულ ერებში ფედერალიზმი აუცილებლობით კარგავს თავის არსს და ფორმალურ-ფედერალურ სტრუქტურებს, თუკი მათ, სულაც, სცნობენ, ის ფუნქციალა რჩებათ, რომ შეარბილონ „მაცენტრალიზებელი და გამათანაბრებელი გავლენები თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოს მხრიდან“, რათა იმგვარად დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, რომ არ გააძნელონ ერთიანი სამეურნეო და საცხოვრებელი პირობების შექმნა მოცემულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში. (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრ. გვ. 120). „თანამედროვე სოციალური სახელმწიფოსკენ განვითარების უნიტარისტულმა ტენდენციამ გფრ-ში ბუნდისა და ლანდების კონკურენტული კანონმდებლობის სფეროში მიგვიყვანა ბუნდის კომპეტენციის მნიშვნელოვან გაფართოებამდე“. (იქვე, გვ. 121)

„გფრ-ის საკუთარი დინამიკა ფედერალური სტრუქტურების შესუსტებისკენ... მიდის. გფრ დიდად ცენტრალიზებულ ძალისმატარებელ სახელმწიფოდ (Machtstaat) ჩამოყალიბდება. ანუ მოხდება სწორედ ის, რისი ხელშეშლაც მოკავშირეებს უნდოდათ“. (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრ. გვ. 124). ჰანისა და ჰოლშერის აზრით (ციტ. შრ. გვ. 119), „მიუხედავად კონსტიტუციაში ფედერალური წყობის შეცვლის აკრძალვისა, მაინც ცხადია, რომ „გფრ სწრაფად მიემართება დეცენტრალიზებულ ფედერალურფასადიან ერთიან სახელმწიფოდ ქცევისკენ“.

„კომპეტენციათა გადასვლა ლანდების კანონმდებლობიდან ბუნდისაზე უმეტეს შემთხვევაში მოხდა ლანდების თანხმობით, რომელთაც თავისი ორიგინარული (პირველადი) უფლებები დათმეს და დაკმაყოფილდნენ „ბუნდესრატის გზით საკანონმდებლო თანამონაწილეობის უფლებით“ (G.B.Oschatz, “Föderalismus in Deutschland “. კრებულში “Politik und Gesellschaft in Deutschland, კოლნი, 1994).

აღნიშნულ განვითარებას ერთი დიდად მნიშვნელოვანი და დიდად სიმპტომატური შედეგიც აქვს გერმანიის ფედერალური წყობის პირობებშივე გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის (მით უმეტეს – მასში პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის) ყოველგვარი საშიშროების ფაქტობრივად მოხსნამ განაპირობა ფედერალიზმისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა. თუ კონსტიტუციის მიღების წელს (1949) ფედერალურ წყობას იწონებდა პრინციპში მოსახლეობის 17%, დღეისათვის ეს პროცენტი 70-ზე ავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამშვიდებამ ზემოხსენებული ხიფათის თაობაზე საშუალება მისცა მოსახლეობას თავისი განსჯა წარმართოს მართვის იმ, ასე ვთქვათ, ტექნიკურ-საგნობრივი პლუსების მიხედვით, რომელსაც იგი ფედერალისტურ სისტემაში ხედავს, ჩვენთვის (ქართველებისთვის) არსებითი ისაა, რომ ეს გამარჯვებულთა – ფიგურალურად რომ ვთქვათ, სამშვიდობოს გასულთა – თვალსაზრისია, რომელიც ჩვენს რეალურ ვითარებას დღეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ შეესაბამება.

### V.

### გერმანიის შესაძლებლობანი და საქართველოს შესაძლებლობანი. პერსპექტივათა შედარებითი ანალიზი

ის დიდმასშტაბიანი ხდომილება ისტორიის პოლიგონზე, რაც განხორციელდა გერმანული ფედერალიზმის შექმნისა და უკვე თითქმის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების სახით, საქართველოსთვის დიდად საყურადღებოა. ამიტომ ზედმეტი არაა, მომავლის შესაძლებლობათა პროგნოზირების ინტერესებში, მდგომარეობის საერთო და განსხვავებული მახასიათებლები გამოვყოთ. ამასთან, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ პროგნოზირების ეს ამოცანა არამეცნიერული არ არის. იგი მეცნიერულ გათვლაზეა დამოკიდებული. იგი, ისევე როგორც ე.წ. გონისმეცნიერებებთან და, საერთოდ, ჰუმანიტარულ სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკითხთა შემთხვევაში, გულისხმობს ე.წ. გაგების მეთოდის მიყენებას, ანუ ადამიანთათვის (აზროვნებისა და განცდის მათეული წესისათვის) საყოველთაოდ და გარდუვალად („აუცილებლობით“) დამახასიათებელი მიზანთსისტემების, ღირებულებათსისტემების, მოთხოვნილებათსისტემების, შიშთა და თავდაცვის მოდელთა სისტემების აღრიცხვას, კონკრეტულ პირობებთან მიყენებას და მათი ურთიერთქმედებების გათვლას, რაც, მეტაფორულად რომ ვთქვათ, საშუალებას გვაძლევს, შესასწავლ ადამიანთა და მასათა „ადგილას დავდგეთ“, რითაც, საბოლოო ჯამში, განვსაზღვრავთ, თუ როდის როგორ მოიქცევიან ისინი. ადამიანთა მასობრივი პოლიტიკური ქცევის წინასწარმეტყველებისათვის ამ პროცედურის ჩატარება ფუფუნების საგანი კი არაა, არამედ აუცილებელია. მათი განხილვა ე.წ. „შავ ყუთებად“ ანუ ისეთ ობიექტებად, რომელთა ქცევა ვიცი, მაგრამ შიგნით მის მექანიზმებში ვერ ვიხედები, უპერსპექტივო გახლავთ, სხვა თუ არაფერი, იმ უბრალო მიზეზით მაინც, რომ „შავ ყუთებად“ განხილვის ნაყოფიერება მხოლოდ დაკვირვების ობიექტის ქცევის სრული რეგულარობის (კანონზომიერი განმეორებადობის) პირობებშია შესაძლებელი.

ჩამოვთვალოთ ზემოხსენებული მსგავსებანი და განსხვავებანი:

ა) არსებითი და გერმანიისათვის სპეციფიკურია, საქართველოსთან მიმართებით ის, რომ გერმანიაში ლანდების სახელმწიფოებრიობის და მათი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების იდეოლოგია არსებობს, ანუ ეს შესაძლებლობები განიხილება არა მხოლოდ არსის პლანში, როგორც სახეზე მყოფი, არამედ ჯერ-არსის პლანშიც, როგორც ისეთი რამე, რაც უნდა იყოს, რაც რაც ჯერ-არს, რომ იყოს. საქართველოში არავინ ამბობს დღეს, რომ საქართველოს ისტორიული პროვინციები ან სხვა რამ წესით გამოცალკევებული ტერიტორიები არა მხოლოდ იყო ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივად (რასაც პროგრესული ქართველი პოლიტიკოსები ებრძოდნენ), არა მარტო არიან ან შესაძლოა ოდესმე აღმოჩნდნენ ჩამოყალიბებულნი ამ წესით, არამედ უნდა იყონ, ჯერ-არს, რომ იყონ ასეთად. ამ მხრივ გერმანიის ეროვნული ცნობიერება უფრო დეცენტრალიზებულია, ვიდრე

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №40,41.

## სოხუმში ჩატარდება კავკასიის ე.წ. არაღიარებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია

ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი აპირებს მონაწილეობა მიიღოს კავკასიის ე.წ. არაღიარებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციაში, რომლის ჩატარებაც მაისის შუა რიცხვებში სოხუმშია დაგეგმილი. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა მოსკოვში, საქართველოს საელჩოს კონფიდენციალური წყაროდან. იმავე წყაროს ცნობით, კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლები. წინასწარი მონაცემებით, კონფერენციას დაესწრებიან რუსეთის ცნობილი სამართალდამცავები, მათ შორის რუსეთის სახ.სათათბიროს დეპუტატი ს.კოვალიოვი, ევროპის საბჭოს წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ევროპის მსხვილი ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები. (იფრინდა)

## საზოგადოება კატეგორიულად გმობს

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე უარყოფითად შეაფასა გასულ კვირას რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩეჩნეთის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია. მხედველობაშია 28 აპრილს ქ.პიატიგორსკის რკინიგზის სადგურში ნაღმის აფეთქების ფაქტი. „დღეს, როცა აურაცხელი დანაკარგების ხარჯზე გმირი ჩეჩენი ხალხი გამარჯვებულია და მშვიდობა ესაჭიროება, წარმოუდგენელია, მისმა ხელისუფლებამ ასეთი უაზრო ტერაქტი განახორციელოს და თუ აფეთქება ჩეჩენი ეროვნების პირთა მიერ არის ორგანიზებული, ეს ანტიეროვნული, პრორუსული ბანდებია, რომელთაც ომის განახლება და ჩეჩნეთის დამონება სურთ“ – ნათქვამია საზოგადოების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოება ვარაუდობს, რომ რუსეთის მთავრობაში საკმაოდ მძლავრობს ე.წ. „ომის პარტია“.

საზოგადოება კატეგორიულად გმობს ჩეჩენი ხალხის დამნაშავედ გამოცხადების მცდელობას და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, დსთ-ს ქვეყნებს და რუს ხალხს, გათავისუფლდნენ იმპერიული აზროვნებისაგან, დარწმუნდნენ, რომ ჩეჩნეთის გადარჩენა რუსეთის გადარჩენაცაა. მოწოდებაა ასევე საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომ დროა მან მიმართოს პოლიტიკური კურსი ჩეჩენი ხალხის დასაცავად, რითაც უდაოდ დაამტკიცებს, რომ სურს მშვიდობიანი და ერთიანი კავკასია.

საზოგადოება მხარს უჭერს ჩეჩენი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და აღფრთოვანებულია მათი გმირობითა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით. (იფრინდა)




სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი.
(ახალციხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტანი, კოლა, აჭარა, შავშეთი, ბანეთი, კლარჯეთი, ტაოს კარი).

# განა კარგი არ იქნებოდა, სტუმრებს ან მასპინძლებს გახსენებოდათ ინგილოები?!

წმინდა ილია მართალი ბრძანებს: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, სადაც ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს.

ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ, ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

პირველად ქრისტიანობამ, იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის" თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლიერ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უალრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა". ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობიდან. ამგვარად მთელის საქართველოს ერთობისა წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ.

ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეიწირვინეს. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმა ძმურადვე მიიკრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა..."

მინაწერი: ასე გამოიყურებოდა ოსმალეთის საქართველო მაშინ (იხ. რუქა), – 1877 წელს – 120 წლის წინ, როცა იწერებოდა წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) ეს დიდებული წერილი.

როგორც რუქიდან სჩანს, იმ დროს აჭარაც ძველ მესხეთში შედიოდა...

მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. აჭარა, რომელიც დღევანდელ პირობებშიც აგრძელებს აღმშენებლობას, გადაიქცა საქართველოს მშვენებად...

იქნებ დადგა დრო კაპადოკიის უძველეს გურჯისტანშიც მივხედოთ „ჩვენებურებს", ჩვენ ძმებს: მესხებს, ლაზებს, ჭანებს?! კარგი იქნება ამჯერად ჩვენგან გავაგზავნოთ მოციქულები, რომლებიც გაანათლებდნენ თურქეთში მყოფ მუსლიმან ქართველებს, რათა მათ შეიგნონ ვინ იყვნენ და როგორ მოვიდნენ დღევანდლამდე; რომ ისინი, იქ მაცხოვრებელი ქართველები, ფაქტიურად მოწყვეტილნი არიან ეროვნულ სამყაროს.

ოსმალეთის საქართველოში მაცხოვრებელი ქართველნი ჩვენზე ორჯერ მეტნი არიან და... ერთი ქართული სკოლაც კი არ გააჩნიათ. ამ მიმართებით, რადიკალური განსხვავებაა ჩვენსა და თურქებს შორის. საქართველოში ყველგან, სადაც ცხოვრობს თურქულენოვანი ხალხი, გახსნილია სასწავლებლები და არავითარი შეზღუდვები ეროვნულ საკითხში მათ მიმართ არ არსებობს.

დიახ, კარგი იქნებოდა თურქეთში ქართველი წარმომავლობის მაცხოვრებელთათვის, მათ ქალაქებსა და სოფლებში, თუ გაიხსნებოდა ქართული დაწყებითი კოლეჯები და თურქულ სკოლებში, სადაც ისინი სწავლობენ, შემოღებულ იქნებოდა ქართული ანბანის სწავლება, დიახ ანბანის სწავლება. ამიტომაც საჭირო იყო არა საქართველოში ქართველთათვის გახსნილიყო ე.წ. თურქული უნივერსიტეტი, არამედ ათ მილიონზე მეტ ქართული წარმოშობის მუსლიმანთათვის დაარსებულიყო ერთი ქართული უნივერსიტეტი, რომელშიაც ილვაწებდნენ აქ, თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში თურქეთიდან ასობით გამოგზავნილი ქართული წარმოშობის ასობით კურსდამთავრებულები.

ჩვენი აზრით, იქ, თურქეთში, ქართული სკოლების გახსნა ამჟამად პრობლემას აღარ წარმოადგენს. მადლობა ღმერთს (ალლახს), თურქეთის მთავრობამ იქ მაცხოვრებელ მუსლიმან ქართველებისათვის, – გურჯებისა და ლაზებისათვის, მიიღო სპეციალური სტატუსი მათი ენების შესახებ! მას შემდეგ გავიდა რამოდენიმე წელი და საქართველოს მხრიდან ვისმეს, – განათლებისა და კულტურის მინისტრებიდან პრეზიდენტამდე, არავის უზრუნია, – არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი იქ მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ (სად სცალიათ მათ ამისათვის!!!).

იქნებ, აჯობებდა ეს საქმიანობა ძირითადად მიგვენდო ძველი მესხებისათვის, – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის?! ჩვენი ხელისუფალნი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვები, თავიანთი დელეგაციებით სისტემატურად მოგზაურობენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის თურქეთსა და ირანში (იქაც გვყავს უპატრონო მიტოვებული ფერეიდანელნი), მაგრამ არასდროს დაინტერესებულან იქ მაცხოვრებელ ქართველთა ყოფით. საზღვარგარეთ კი არა, აგერ აქ, – ფაქტიურად, კახეთში, – ზაქათალის, ბელაქანისა და კახის რაიონებში უპატრონოდ გვყავს მიტოვებული ინგილოები. მათ, გარდა ორი სოფლისა, ყველგან დაუხურეს ქართული სკოლები, აქციეს მუსლიმანებად, გადაიყვანეს აზერბაიჯანულ სწავლებაზე, ყველას ჩამოართვეს ქართველობა და ფაქტიურად „აქციეს" აზერბაიჯანელებად (რომ არაფერი ვთქვათ მათ ქართულ გვარებზე, რომლებიც დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა).

და ყოველივე ეს ხდება აგერ მეზობელ ქვეყნებთან, სადაც გვაქვს ჩვენი საელჩოები და საკონსულოები... განა კარგი არ იქნებოდა, ორ ქვეყანას შორის მეგობრობის გაძლიერების მიზნით, თუნდაც ამას წინათ ქართველი პრეზიდენტის აზერბაიჯანში „ტრიუმფალური" ვიზიტის დროს, ან სტუმრებს ან მასპინძლებს გახსენებოდათ ინგილოები?! აქ კი, მაგრამ სამი წერტილით!

**ვახტანგ გურგენიძე.**

მარტი, 1997 წ.

# აზერბაიჯანი ქართველი ჟურნალისტის თვალით

არასამთავრობო ორგანიზაციების სემინარები და სხვა ღონისძიებები სახელისუფლო სტრუქტურების შეხვედრებისაგან გამოირჩევა უფრო მეტი გულღიაობით ერთმანეთის მიმართ, მაღალი ტოლერანტობის გამომჟღავნებით. სასიამოვნო და სასარგებლოა ისიც, რომ ზღვარი შეხვედრის ოფიციალურ და არაოფიციალურ ნაწილს შორის თითქმის არ არსებობს. პლურალიზმის ცენტრის ბაქოს მე-9 კონგრესიც ამ ნიშნით გამოირჩეოდა. პლურალიზმის ცენტრების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის წარსულში პოლონეთის კომუნისტებისაგან განთავისუფლების აქტიურ მებრძოლს ირენა ლასოტას. იგი ჯერ კიდევ 1968 წელს, სტუდენტობის დროს, დააკავეს და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ანტიკომუნისტური ორგანიზაციის შექმნისათვის. 1970 წელს ირენა ლასოტა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც დაიწყო აქტიური მოღვაწეობა რადიოსადგურ „თავისუფალ ევროპაში". 1980 წელს ამერიკაშივე შექმნა „სოლიდარნოსტის" მხარდამჭერი კომიტეტი, ხოლო 1985 წელს ჩამოაყალიბა „აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიის ინსტიტუტი", რომელსაც დღესდღეობით უკვე 14 ქვეყანაში აქვს თავისი ქსელი „პლურალიზმის ცენტრის" სახით. ედი-ს დიდი წვლილი მიუძღვის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში დემოკრატიული ინიციატივების აღორძინებაში, ხოლო ინსტიტუტის დირექტორი, ირენა ლასოტა, ყოველდღიურ ნაყოფიერ მოღვაწეობას დემოკრატიის დასამკვიდრებლად არა მხოლოდ ჩვენს ქვეყნებში ეწევა, არამედ მსოფლიოს დიქტატორულ რეჟიმებთანაც იბრძვის.

ბაქოს შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ აზერბაიჯანის პლურალიზმის ცენტრის „ინამის" დირექტორმა, ვაჰიდ ფარვიზ-ოგლიმ გვერდი ვერ აუარა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მათგან ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციების დასწრებას ჩვენს შეხვედრაზე. მაგალითად, ესწრებოდნენ „გეიდარ ალიევის სახელობის ქალთა უფლებების დაცვის" ორგანიზაცია, რაც თავისთავად ირონიულ ღიმილს იწვევდა. აზერბაიჯანულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც მათი მოხსენებებიდან გაირკვა, ყველაზე მეტად აწუხებთ, სარეგისტრაციო ცენზი და ორგანიზაციაში პოპულარული ადამიანების ყოფნა. „დემოკრატიის განვითარების ფონდის" დირექტორ-კოორდინატორი როჯერ პოტოცკი მათ დიდხანს ამშვიდებდა, რომ ისინი არარეგისტრირებულ ჯგუფებსაც ეხმარებიან. აზერბაიჯანელ კოლეგებს მწვავედ უდგათ ლტოლვილთა უზარმაზარი მასის (1მილ.500000) მინიმალური სასიცოცხლო პირობებით უზრუნველყოფა. პირველი დევნილები ყარაბაღიდან და ერევნიდან შედარებით უკეთ, ბაქოსა და სხვა ქალაქებში განათავსეს, მაგრამ ომის მიმდინარეობის გაგრძელებამ დევნილთა ახალი ტალღა დაძრა აზერბაიჯანისაკენ. ისინი საშინელ პირობებში ცხოვრობენ, სამი წელია კარვებში სძინავთ და მხოლოდ ჰუმანიტარული ორგანიზაციების იმედად არიან დარჩენილი. მათ არც სამუშაო აქვთ და არც სწავლის ნორმალური საშუალება. დიასახლისები საჭმელსაც კი ვერ ამზადებენ, წითელ ჯვარს მოაქვს მათთვის სპეციალური ქვაბებით ცხელი სალაფავი. არის წყლის პრობლემა, რომელიც ჰიგიენურად საშიშ სიტუაციას ქმნის. დევნილთა შორის უამრავი ავადმყოფი და ხეიბარია. დევნილთა გაჭირვებაზე ისაუბრა სოლმაზ აზიზოვამ, რომელიც ფიქრობს ხეიბრებისათვის მსუბუქი სამუშაო მოძებნოს და ამით მაინც შეუმსუბუქოს მათ მდგომარეობა.

აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან ურთიერთობის ერთ მაგალითს მოვიყვან, რომელმაც ყველა გაგვამხიარულა. მათთვის ცნობილი იყო, რომ რუმინეთიდან ჩამოდის პრეზიდენტ კონსტანტინესკუს მრჩეველი, არასამთავრობო ორგანიზაციების დარგში, ლუმინიტა პეტრესკუ. იმ წუთშივე შეიქმნა პრეზიდენტ ალიევთან ასეთივე სამსახური, რომელშიც 25 მოხელე ჩაერთო. მთავარ მრჩევლად დანიშნეს რუსტამ მამედოვი, რომელსაც მიანიჭეს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების კურირება. სამსახური კი შეიქმნა, მაგრამ არავინ, ხელისუფლების არც ერთ ეშელონში არ იცოდა რა უნდა ეკეთებინა მას. რა თქმა უნდა, თავიდანვე კონტროლისა და აკრძალვის სუნი დატრიალდა. რუსტამ მამედოვი არც ერთ შემთხვევას არ ტოვებდა ქალბატონი ლუმინიტესთვის ჩაძიებით გამოეკითხა რას აკეთებდა იგი თავის მრჩევლობის დროს, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. ლუმინიტა პეტრესკუ პასუხობდა, რომ მას მხოლოდ ოთხი კაცი ჰყავს: მდივანი, ორი კომპიუტერზე მომუშავე და თვითონ; რომ იგი აძლევს მხოლოდ რჩევას, რომელ ფონდებს უნდა მიმართონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა დახმარებისათვის. რუსტამ მამედოვი კი ისევ იძიებდა, არის თუ არა კანონი ან სამართლებრივი ბაზა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს არასამთავრობო ორგანიზაციამ. პეტრესკუ პასუხობდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფალია თავის მოქმედებაში, თუ უნდა გაატარებს თავის ორგანიზაციას რეგისტრაციაში, თუ უნდა არა, მაგრამ მრჩეველი ყველა მათგანს აძლევს რჩევას. აზერბაიჯანელი მრჩეველი უფრო და უფრო იბნეოდა: როგორ, მას უფლება არა აქვს რჩევა მისცეს იუსტიციის სამინისტროს და სასამართლოს ვინ გაატაროს რეგისტრაციაში და ვინ არა? ვის დაეხმაროს ფონდებიდან ფულის მიღებაში და ვის არა? რუმინეთის პრეზიდენტის მრჩეველი ამ კითხვამ ძალიან განაცვიფრა, რა თქმა უნდა არა – ღიმილით უპასუხა მან. – ჩემი ფუნქციაა დახმარება და ახალშექმნილ ორგანიზაციებისთვის რჩევა, თუ როგორ უნდა წარმოაჩინონ თავისი გაერთიანება ეფექტურად, როგორ უნდა დაამყარონ ურთიერთობა საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან, როგორ უნდა მოიპოვონ გარანტი, რათა ნორმალურად იფუნქციონირონ. აზერბაიჯანელმა მოხელეებმა მოიწყინეს და შემდგომ კითხვები აღარ დაუსვამთ. ვერ გეტყვით, რამდენად დაიჯერეს ქალბატონი ლუმინიტას პასუხები და რას აპირებენ მომავალში, მაგრამ ჩემთვის, ეს ნათელი მაგალითი იყო ორი სხვადასხვა სამყაროს ურთიერთობის და განსხვავებული მსოფლმხედველობისა, რომელსაც ერთი მხრივ დემოკრატია, ხოლო მეორე მხრივ, ტოტალიტალურ-კომუნისტური აზროვნება და საკითხის გადაჭრა ჰქვია.

**მანანა იაშვილი**

გაგრძელება იქნება

# სატირის გვერდი — წუთშესვენება

ზაურ ბოლქვაძე

## კალეიდოსკოპი

### ავტობიოგრაფია

ავტობიოგრაფია,
ჩემი, გახლავთ ასეთი:
გადმოვედი აკვნიდან
და კუბოში ჩავწექი!..

### აკაკის ხმა მთაწმინდის პანთეონიდან

გაპუტული საქართველოვ,
შე პაწაწინაო,
გახუნტული, გაპუტჩული,
რამ შეგაშინაო?!
„ქსენგეში“ მიგიჩინეს
შენ თბილი ბინაო!..

* * *

წარწერა გაზეთ „საქართველოს“ 1997 წლის მე–20 და 21–ე ნომრებში გამოქვეყნებულ აკაკი ბაქრაძის წერილზე – „ვასალური აზროვნება“

ქართლოს თარგამოსის ძევ,
ახლაც არ გამოფხიზლდე,
ახლაც არ თქვა უარი
ვასალობის ბორკილზე,
ახლაც „ძმად“ და „მეგობრად“
გყავდეს მტერი მოსისხლე!..

### მოგვერია დათვი!..

„დათვი რომ მოგერიოს,
ბაბა დაუძახეო!“
ქართული ანდაზა

მოგვერია დათვი,
დავუძახეთ „ბაბა“,
აფხაზეთი „დავთმეთ“,
„დავთმეთ“ სამაჩაბლო!
„დასათმობი“ დაგვრჩა
დანარჩენი ქართლი!
„დავთმობთ“, აბა, რა ვქნათ?!–
მოგვერია დათვი!
. . . . . . . . . . . . . . .
გევედრებით გულით,
არ მოგვთხოვო, დათვო,
ტერიტორიული
მთლიანობაც დავთმოთ!
P.S.
„ქართლად ფრიადი ქვეყანაი
აღირაცხების“
და ყველას გვართმევს, მგონი,
დათვი
აღვირახსნილი!..

### რუსთაველის ხმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან

რუსო, ძალსა ნუ იქადი,
ნუცა მოჰკვეხ ვოდკით მთრვალი!
არას გარგებს ძლიერება,
თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის,
მცირე[1] დასწვავს ნაბერწკალი!

1. „მცირე ნაბერწკალში“ რუსთაველი გულისხმობს „მცირე იმპერიას“, ანუ საქართველოს.

### ვაჟა-ფშაველას ხმა მთაწმინდის პანთეონიდან

ხომ იცით, საქართველოა,
ყველა კუთხიდან მტრიანი,
ერთმანეთს რომ მტრობთ, რომ
ხოცავთ,
ხალხი არა ხართ ღვთიანი?!

### ჩვენი სტატუსი

არ დაგვანებებს თავს რუსი! –
ეს არის ჩვენი სტატუსი!

### ოპოზიციონერის პოზიცია

როდესაც გადადგება
მთავრობა ახლანდელი,
მამულო, დაგადგება
საშველი – აყვავდები!

* * *

ზოგნი ისე გამოტვინდნენ,
არ გვაქვს იმის გარანტია,
საქართველოს ლალატი რომ
არ დასწამონ გალაკტიონს!

### პატივმოყვარე შვილი — დედასამშობლოს

მე ვარ შენი მეციხოვნე
და პატივი მეცი ხოლმე!

* * *

„უნაღდო ანგარიშსწორებით“
ვეწევი მე ჭაპანს ცხოვრების!

* * *

ქვეყანა ბაზრად იქცა,
ყველა ყველაფერ კადრულობს!..
დაკარგა აზრი სიტყვამ –
მხატვრულმაც, არამხატვრულმაც!

### იოსებ ნონეშვილის ხმა დიდუბის პანთეონიდან

შენ ევრაზიის დერეფნობა
დაგშვენდებოდა,
აშენდებოდი, საქართველოვ,
აშენდებოდი:
ნავთობსადენი ფეხქვეშ ხიდად
გაგედებოდა,
აბრეშუმის გზა ტანზე დვრიტად
დაგედებოდა,
დაიბრუნებდი აფხაზეთსაც,
სამაჩაბლოსაც
და იქცეოდი მთლიან ბაღად,
მთლიან წალკოტად,
მოიშორებდი კორუფციას,
ტერორს, ნარკოტიკს...
გაახარებდი გულს მოყვრისას,
მტრის გულს დაჰკოდდი!
...შენ ევრაზიის დერეფნობა
დაგშვენდებოდა!

### საქართველოს გამყიდველის ბოლო

უცრემლოდ ჩავა საფლავსა,
ვინც საქართველო გაყიდა,
მიუვა მამა–პაპათა
თავზე დასხმული ლაფითა!..

* * *

ვიბრძვი არსებობისათვის!–
ღმერთმა ასე მომისაჯა!
არსებობისათვის ბრძოლამ
არსებობა შემაძულა!..

### გვახსოვდეს!..

გვახსოვდეს: ორდენ–მედლებით
ხმელი ხე ვერ განედლდების!



არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა

### „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენლებსაც და მათ ოპონენტებსაც

გვიყვარს „ვეფხისტყაოსანი“ –
მარგალიტობს ობლად!
წიგნი, ჩვენი სალოცავი,
გვიჩანს მჯობნთა მჯობნად!
გეაჯებით მუხლთამოყრით
და გაფიცებთ შოთას, –
სუყველა სტროფს ნუ ამოყრით,
დაგვიტოვეთ ცოტა!

### ყაყიტა და მისი ქურდები კორუმპირებულ სასამართლოში

„ქვეყნის დამქცევად“, „ხალხის
მტრად“
ცნო სასამართლომ ყაყიტა,
მისი ქურდები გაუშვა,
ხოლო ყაყიტა... დახვრიტა!..

### „ენ“-ს

შემოგაცალე შენ ჩინ–მედლების,
ტიტულატურის ბრჭყვიალა ჩენჩი
და გამიცრუვდა მე იმედები –
ხელში უნიჭო კაცუნა შემრჩი!

### ირაკლი აბაშიძის ხმა დიდუბის პანთეონიდან

ენაო ჩვენო, ქართულო ენავ,
რა სახელმწიფო ენა ხარ შენა,
როცა არარუს უცხო სტუმრებსაც,
საქართველოში, რუსულად ველა
პარაკებით და ვაოცებთ ყველას?!

### ამიტომ!..

რწყილისგან ვქმნით აქლემს,
ბუზისგან ვქმნით სპილოს,
ამიტომ გვაქვს საქმე
სარცხვინ–სასაცილოდ!..

### საქართველოს

გვიპატარავდები,
შაგრენის ტყავივით,
კორუფციონერი
კადრების „წყალობით“!

### მხოლოდ ჩვენთვის!..

მაღლიდან ღმერთს, მხოლოდ
ჩვენთვის,
დამატებით მოუცია
სიძულვილი ერთმანეთის
და ურთიერთკორუფცია!

### ეს გრაფომანი!..

ეს გრაფომანი – შტერი, ბითური,
შუბლგარეცხილი, ჭკუა–ტვინთხელი,
თავის თხზულებებს თვითონ
კითხულობს,
სხვა არავინ ჰყავს იმას
მკითხველი!

### ლადო ასათიანის ხმა დიდუბის პანთეონიდან

არ დაუკრათ საქართველოს
დასაქცევი,
დაუკარით არძინბების გასაქცევი!

### ნყალნაღებულის ჩივილი

ვიძირები, გრძნობას ვკარგავ,
ღმერთს შველას ვსთხოვ, ხსნას
ველი,
ხელსაც ვანძრევ, ფეხსაც, მაგრამ
ღმერთი მაინც არ მშველის!..

### ამოენურა ლიმიტი!..

ურაპატრიოტ–პრიმიტივს
გაუტყდა გვარიც, სახელიც,
ამოეწურა ლიმიტი
საყვირალ–სათქმელ–საწერის!..

* * *

ვინც რა უნდა თქვას,
ვინც რა უნდა წეროს,
კორუფცია გნთქავს,
გყლაპავს, ჩემო ერო!..

### ექსფუნქციონერი

წინათ ყველას თითს უქნევდა,
ახლა ყველას თავს უქნევს,
აღარ იღრინ–იმუქრება,
აღარ ანთხევს შხამს უკვე!

### ნვერულვაშიანი იგი

იგი ქართულ მწერლობაში
რჩება მარტო წვერ–ულვაშით!

### თუ არ!..

თუ არ მივბაძავთ ჩეჩნებს,
ვეჭვობ, სამშობლო შეგვრჩეს!

### გალაკტიონის ხმა მთაწმინდის პანთეონიდან

ახლა ერთი საქართველო არ
გვაქვს,
ჩვენ გვაქვს ახლა საქართველო ორი:
ყველაფერი არის ძლიერ კარგად!
ყველაფერი ძლიერ ცუდად არი!

* * *

ჩვენში ახლა ყველა ავსულს
ეროვნული გმირობა სურს!

### ერთი მნარე შეკითხვა სტალინს

გვიპასუხე, მკვლელო სტალინ:
ფიროსმანიც შენ მოკალი?!

### ეპითეტების ეპიდემია

ქება–დიდება, წრეგადასული,
ლანძღვა–გინებას შესჭიდებია!..
მოუცავს ჩვენი პრესა, ქართული,
ეპითეტების ეპიდემიას!..

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 3 ოთახიანი არასტან-დარტული ბინა დიდუბეში. ფასი 35000 დოლარი. ტელ. 34-19-53

იყიდება 5 ოთახიანი ბინა ფალიაშვილის №61. საკუთარი ეზოთი, გარაჟით, სარდაფით, ტელე-ფონით. საერთო ფართი 140 კვ.მ, ფასი 75000 დოლარი. ტელ. 22-03-68

იყიდება 3 ოთახიანი ბინა შესასვლელით სადარბაზოდან და ეზოდან. მაღალ ბელეტაჟზე 2 სართულიან სახლში, აქვს 2 სარდაფი და ოთახი პირველ სართულზე, საერთო ფართი 120 კვ.მ, კაპიტალურად. გარემონტებული. შანიძის ქუჩა №15 საწყისი ფასი 40000$ ტელ. 29-22-60; 29-12-55

იყიდება საგურამოში სოფ. ნაე-დარაანთკარში სახლი 1000 კვ.მ მი-წის ნაკვეთით. ფასი 5000$ ტელ. 74-00-62

იყიდება ცხვარიჭამიაში 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი 500$ ტელ. 74-00-82

დუშეთის რაიონის სოფელ საშაბუროში ბაზალეთის ტბასთან ახლოს სასწრაფოდ და იაფად იყ-იდება ახალაშენებული 2 სართუ-ლიანი სახლი უმაღლესი კაპ.რემონტით 4000 კვ.მ მიწის ნა-კვეთით, საწყისი ფასი 16000$ ტელ. 68-82-09 გოგი

იყიდება ბინა ალმაშენებლის გამზირზე, დუპლექსი 160 კვ.მ საერ-თო ფართი, სასარგებლო 90 კვ.მ, აქვს ეზო, ავტოფარეხი, ფასი შეთ-ანხმებით. ტელ. 95-53-65 ან 96-15-29

იყიდება მოსკოვის პროექტის 2,5 კუთხის ბინა მიშენებით, 2 ლოჯიით მე-3 სართული. სარდაფით ტელეფონით, რემონტით, ჩაშენებ-ული კარადებით. საწყისი ფასი 12000$ ტელ. 95-31-37 (ნანა)

იყიდება მიწის ნაკვეთი პეტ-რიაშვილის ქუჩაზე (ვერა), ტელ. 23-18-20

იყიდება ნუცუბიძის მე-3 მიკ-რორაიონში არატიპიური ერთოთახ-იანი ბინა, საცხოვრებელი ფართი 40 კვ.მ, აივნით. 9X6 სართ. მის. ნუცუბიძის მე-3 მ/რ მე-2 კვ. მე-7 კორპ. მე-6 სართ. ბ. 33. ფასი 12000$ ტელ. 29-11-61

იყიდება 1,5 ბინა, 3 ოთახად გადაკეთებული. ფართი 22X16X11 ტელეფონით, სარდაფით. საწყისი ფასი 20000 დოლარი ტელ. 36-48-10; 36-71-66

იყიდება ან იცვლება 5 ოთახ-იანი, მაღალჭერიანი ბინა ჩიქოვა-ნის ქუჩაზე. საერთო ფართი 180 კვ.მ, ლოჯია 22 კვ.მ, აივანი 19 კვ.მ. ბინას აქვს ბუხარი, ავტომან-ქანის სადგომი, ორი სარდაფი. ტელ. 36-71-51

სასწრაფოდ იყიდება კეთილ-მოწყობილი ბინა 4 ოთახი (3X1) ჩარგლის 22. ბ.21 ღრმაღელის მეტროსთან, 5X2 საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, ლოჯიით. რკინის კარი, ორი საკუჭნაოთი, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. ტელ. 60-66-42 გია

იყიდება არასტანდარტული, პრივატიზებული ბინა აბანოთუბან-ში, იტალიურ ეზოში, საერთო ფარ-თით 55 კვ.მ, პირველ სართულზე. აქვს სარდაფი, მანქანის დასაყენე-ბელი ადგილი. სამზარეულო და სველი წერტილი საკუთარია. ფასი 10000$ მის. გორგასლის 11. იკითხეთ ლელა.

იყიდება 3 ოთახიანი ბინა გადა-კეთებული 4 ოთახად. ლოჯიით (12 კვ.მ), რემონტით, სარდაფით. საწყ-ისი ფასი 26000 დოლარი. ტელ. 35-43-55

## სხვადასხვა

იყიდება ტექნიკური ენციკ-ლოპედია გამოშვებული 1937 წელს, 32 ტომი. ფასი შეთანხმე-ბით. ტელ. 51-47-06

იყიდება მაცივარი „სუპერ ჯენერალი", „მაროსკო", კომპრე-სორი დახლი მაცივრისათვის, კაკლის მურაბა 600 გრ. ქილებში (3500 ცალი), პორტვეინი 60 ტონა, ქართული ჩაი 5 ტონა, ნივრის პასტა 30 ტონა, ტელ. 23-18-20

იყიდება 30 ცალი გასაშლე-ლი მაგიდა თავისი სკამებით. ტელ. 67-17-65 ან 37-47-16

იყიდება გერმანული წარ-მოების 2 სართულიანი სამოცად-გილიანი ქათმის გალია. ტელ. 96-10-50

სარეცხი მანქანა „ხარკოვიან-კა", „მალიუტკა" ცოტათი დიდი. ფასი 60 $. დივანი გასაშლელი, მწვანე ხავერდით გაწყობილი 100 $ ტელ. 93-66-82 ნინო

ვყიდი მე-19 საუკუნის ან-ტიკვარულ ექვსნაჭრიან სასა-დილოს (დივანი, მრგვალი მაგ-იდა და ოთხი სკამი). საწყისი ფასი 1500 დოლარი. ტელ. 93-49-77

იყიდება 5 ატმოსფეროიანი, 220 ვოლტზე მომუშავე საყ-ოფაცხოვრებო კომპრესორი, ტელ. 96-10-50

იყიდება ფრანგული პარფი-უმერია, სუნამოები: მადამ რო-შარი, ოპიუმი, ფიჯი, კლიმა, მის-ტერია, როშა, სიკიმი, ფროსტ-იჩელ და ასე შემდეგ. დაგვირეკეთ 37-21-80; 36-11-79

იყიდება სასწორები 1 კგ-იანი ისრიანი. ფასი 80 ლარი. 500 კგ-იანი ფასი 200 ლ. ტელ. 38-64-76 დღისით; 66-44-76 საღამოს

იყიდება სანაყინე დანადგარი „ფრეზერი" რუსეთის გამოშვება. ფასი 500 დოლარი. ტელ. 35-43-55 (დილის საათებში); 34-85-24 (საღამოს საათებში).

## ავტომანქანა

ქირავდება ავტომანქანა ფურგო-ნი-მოსკვიჩი. ტელ. 23-18-20

იყიდება ავტომანქანა „ვაზ-2108" 8 თვის, თეთრი ფერის, რუსეთის ნომრებით. ფასი 6000$ ტელ. 37-35-54

## ქირავდება

ვაქირავებ 25 კვ.მ ოთახს გარე-მონტებულს, მაღაზიისათვის ან ოფი-სისათვის დ.აღმაშენებლის გამზირზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-15-02

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს დაგვირეკეთ ყოველდღე: 93–18–41**

## ვალერიან ბერძენიშვილი

გარდაიცვალა ცნობილი იურისტი ვალერიან ბერძენიშვილი. წლების განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, კაცი, რომელიც უმწიკვლოდ ემსახურა საზოგადოებას და სამაგალითო მოღვაწე იყო თავისი ცხოვრების წესით.

კომუნისტური ეპოქის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ორი შვილი – ლევან და დავით ბერძენიშვილები, ეროვნული მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს 80-იან წლებში. ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია მისი, როგორც აღმზრდელისა და მამულიშვილის პორტრეტის შტრიხისათვის.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას უცხადებს ვალერიან ბერძენიშვილის ოჯახს.

**P.S.** ვალერიან ბერძენიშვილის ბათუმიდან გადმოსვენება და დაკრძალვა მოხდება თბილისში 6 მაისს, სამშაბათს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე.

## მერაბ ცხადაია

5 წელი გავიდა შენი ტრაგიკული აღსასრულიდან, მერაბ. ხუთი წელია ჩვენს ოჯახში ცრემლი არ გამშრალა. ტყუილი ყოფილა, დრო მკურნალიაო, რომ ამბობენ. შენი დაკარგვით მოყენებულ გულის ჭრილობას ვერაფერი კურნავს. ნეტავ, სიკვდილსაც მისცეს შვილი, რომ იგრძნოს, რა გაუსაძლისია, შვილი წაართვა მშობელს.

შენი დედა და ძმა

## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

### ს

საავა – 27 (ქუთაისი – 22; რუსთავი – 1; ჩხოროწყუ – 4);
სააკიშვილი – 26 (თბილისი – 9; გურჯაანი – 4; დმანისი – 1);
საამიშვილი – 43 (თბილისი – 24; გორი – 8; თელავი – 2);
საბუკია – 22 (ზუგდიდი – 5; თბილისი – 5; აბაშა – 4);
საგიაშვილი – 45 (გორი – 30; თბილისი – 2; დმანისი – 1);
საგინძე – 31 (მარნეული – 19; ახალქალაქი – 8; ადიგენი – 1);
სადაგაშვილი – 41 (თბილისი – 19; თელავი – 18; რუსთავი – 4);
სადაგიშვილი – 23 (თბილისი – 15; თელავი – 4; ბათუმი – 1);
სადათერაშვილი – 36 (გორი – 14; თბილისი – 22);
სადალიშვილი – 22 (თბილისი – 16; საგარეჯო – 3; კასპი – 1);
სავაძე – 32 (გურჯაანი – 14; თბილისი – 11; დუშეთი – 2);
სათალანძე – 21 (ზუგდიდი – 21);
სათმანიძე – 32 (ოზურგეთი – 13; ქობულეთი – 1; შუახევი – 18);
სათუნაშვილი – 22 (გორი – 11; რუსთავი – 6; თბილისი – 4);
საინიშვილი – 29 (ქობულეთი – 13; ოზურგეთი – 6; თბილისი – 5);
საიქოძე – 25 (გურჯაანი – 11; თბილისი – 11; თელავი – 2);
საკარული – 27 (თბილისი – 18; დუშეთი – 5; გარდაბანი – 1);
სალაღიშვილი – 29 (თბილისი – 7; ბორჯომი – 6; რუსთავი – 1);
სალიაშვილი – 50 (დუშეთი – 23; თბილისი – 17; ახმეტა – 1);
სალიბეგაშვილი – 25 (თბილისი – 14; გორი – 7; რუსთავი – 4);
სალუაშვილი – 41 (თელავი – 31; თბილისი – 8; ქარელი – 1);
სამადაძე – 26 (ახალციხე – 10; გარდაბანი – 10; თბილისი – 6);
სამანაშვილი – 24 (თერჯოლა – 10; თბილისი – 9; ზესტაფონი – 2);
სამარჯიშვილი – 36 (ახალციხე -24; გორი – 8; თბილისი -4);
სამნიაძე – 31 (თბილისი – 12; დმანისი – 8; ბოლნისი – 2);
სანაყოშვილი – 27 (თბილისი – 17; საგარეჯო – 10);
სანდომისაშვილი – 27 (თბილისი – 9; რუსთავი – 5; სიღნაღი – 13);
სანიძე – 27 (თბილისი – 5; ბათუმი – 4; სენაკი – 3);
სარალიშვილი – 20 (თბილისი – 19; გარდაბანი – 2; ზუგდიდი – 1);
სარიაშვილი – 20 (თბილისი – 9; გურჯაანი – 1; ქუთაისი – 10);
სარკიაშვილი – 24 (თბილისი – 15; საგარეჯო – 9);
სარუხანაშვილი – 38 (თბილისი – 11; რუსთავი – 4; საგარეჯო – 23);
სარხანიძე – 32 (ბათუმი – 10; ხელვაჩაური – 22);
საფარიშვილი – 28 (თბილისი – 13; აბაშა – 11; თელავი – 3);
საქანია – 39 (ზუგდიდი – 26; თბილისი – 6; ბათუმი – 2);
სალერაშვილი – 45 (საჩხერე – 32; თბილისი – 3; ქუთაისი – 3);
სალირიშვილი – 35 (დუშეთი – 1; თბილისი – 1; თიანეთი – 33);
სალირიძე – 21 (ახმეტა – 17; თბილისი – 4);
საყევარიშვილი – 28 (გარდაბანი – 17; ბოლნისი – 4; თბილისი – 7);
საყვარელია – 35 (აბაშა – 16; თბილისი – 10; ფოთი – 6);
საყურაშვილი – 32 (თბილისი – 25; დედოფლისწყარო – 2; ზესტაფონი – 1);
საჩანელი – 26 (თბილისი – 26);
სახარაძე – 27 (ქუთაისი – 10; ქობულეთი – 4; თბილისი – 4);
სებისკვერიძე – 31 (ოზურგეთი – 9; თბილისი – 8; ბაღდათი – 5);
სეიდიშვილი – 50 (ბათუმი – 36; თბილისი – 4; ხელვაჩაური – 10);
სერაშვილი – 22 (გორი – 5; სიღნაღი – 5; თბილისი – 4);
სესიკელაშვილი – 39 (თბილისი – 28; კასპი – 7; მცხეთა – 4);
სესქურია – 31 (ფოთი – 3; თბილისი – 2; ხობი – 26);
სეფედაური – 26 (გორი – 22; თბილისი – 3; რუსთავი – 1);
სეფერიძე – 50 (შუახევი – 1; ხელვაჩაური – 49);
სეხნიაძე – 22 (თბილისი – 11; თელავი – 9; ახმეტა – 1);
სვიაკაური – 34 (ახმეტა – 33; თბილისი – 1);
სვიანაიძე – 22 (ასპინძა – 10; დუშეთი – 9; ვანი – 1);
სიგუნავა – 34 (ბაღდათი – 19; თბილისი – 9; ადიგენი – 1);
სიდამაშვილი – 27 (თბილისი – 9; რუსთავი – 2; საგარეჯო – 16);

## ჰოროსკოპი
### 3-5 მაისი

**ვერძი** – დასვენების დღეებში მუშაობა მოგიწევთ, არ გადაიღალოთ – ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

**კურო** – ოჯახურ უსიამოვნებებს ფილოსოფიურად შეხედე, მაგრამ გეყოფა მეგობრებში დროსტარება, რადგან წინ შრომატევადი სამუშაო გელის და ნაბახუსევზე სწორი გადაწყვეტილება გაგიჭირდება.

**ტყუპები** – ნერვიულობას თავი დაანებეთ და გარშემომყოფებთან ურთიერთობის მოწესრიგებას მშვიდად შეუდექით. ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული. თავს მარტოდ გრძნობთ? მიხვდით, რომ სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით თქვენ დიდხანს არასოდეს რჩებით მარტოდ.

**კიბო** – როგორც იქნა გუნება გამოგისწორდათ. ახლა წინ კვლავ შემოქმედებითი წვა გელით.

**ლომი** – თუ ცუდად იგრძენით თავი, სჯობს არ ჩაიკეტოთ, არამედ გარშემო მიმოიხედეთ; ხომ ხედავთ რამდენი ადამიანი არის განწყობილი თქვენს მიმართ სიმპათიურად. კარგად დააკვირდით, ვიღაცას უყვარხართ!

**ქალწული** – წარმატებას მიაღწევთ საქმიანობაში და თქვენი კარიერაც წინ წაიწევს, თუ ოდნავ უფრო ყურადღებიანი იქნებით.

**სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. კარგი იქნება მედიტაცია და ფილოსოფიური ჭვრეტა. არც ქალაქგარეთ გასეირნება გაწყენთ.

**ღრიანკალი** – ფილოსოფიური თვითანალიზი კარგ შედეგს მოიტანს, თუმცა ბევრი შრომა მოგიწევთ.

**მშვილდოსანი** – თავი დაანებეთ ახლობლებთან ჩხუბს, მიხედეთ ჯანმრთელობას, თორემ დრო მიდის...

**თხის რქა** – ქარტეხილები და უსიამოვნებები უკანაა; მგონი გაზაფხულდა არა?

**მერწყული** – ავად გრძნობთ თავს? მეგობრებს მიმართეთ.

**თევზები** – წარმატებები გრძელდება. საჩუქრებიც გელით, ახალი პერსპექტივებიც ისახება.

● სასამართლო პროცესი

# ვინ ჩაიდინა ხუთი ადამიანის მკვლელობა?

მესამე გვერდიდან

წინასწარი გამოძიებისას ზემოქმედების შედეგად მისცა ცრუ ჩვენება.

„20 ნოემბერს სტადიონზე მივდიოდი, როცა გზად ოფისის დარაჯი, შოთა შუბითიძე შემხვდა და მითხრა, რომ მისი „ნაპარნიკი" არ გამოცხადდა სამსახურში და ამიტომ დღეს შენ უნდა იმუშაო მის მაგივრადო. მე თანხმობა მივეცი და ვუთხარი, რომ ჯერ ფეხბურთს ვუყურებდი და შემდეგ მივიდოდი ოფისში სადარაჯოდ. საფეხბურთო მატჩის შემდეგ, სახლში მიმავალს, სროლები შემომესმა და ფოსტასთან მდგარი ჩემი ბავშვები დავინახე, მივირბინე მათთან და კედელს ამოვეფარეთ, როცა გამოვიჭვრიტე, დავინახე, თუ როგორ გამოვიდნენ ოფისიდან დაჭრილი მიშა სამსონაშვილი და გია იობაშვილი (განსასჯელები). ქვემოდან კი გამოვიდა თამაზ კურტანიძე „მერსედესით". სახლში წავედი და დავიძინე. მოგვიანებით ცოლმა გამაღვიძა და მითხრა, რომ წავსულიყავი ოფისში საყარაულოდ. ოფისში მისვლის შემდეგ ჩემთან მოვიდა, კარგად არ მახსოვს, მგონი გოჩა თედიაშვილი და ნიჩაბი მთხოვა, რაც საბარგულში ჩავუდე და მეც ჩავჯექი იმ მოტივით, რომ რაღაც უნდა დაემარხათ კომპოზიტორების სახლთან ახლოს" – განაცხადა არტიომ ხითარიშვილმა სასამართლო პროცესზე.

იგივე ბრალდება აქვს წაყენებული განსასჯელს – გია პეტრიაშვილს, რაც ხითარიშვილს. მისი თქმით, 20 ნოემბერს ოფისიდან ის ადრე წამოსულა და მკვლელობის დროს იქ არ ყოფილა. საღამოს, როცა დაბრუნდა ოფისში, გ.პეტრიაშვილს დახვდა თკურტანიძე, რომელიც შეშფოთებული ყოფილა. შემოვიდა გოჩა თედიაშვილი და უთხრა მათ, რომ ენას კბილი დააჭირეთ, თორემ... გ.პეტრიაშვილი ჩაუჯდა გოჩა თედიაშვილს მანქანაში იმ მოტივით, რომ მას სახლში გაიყვანდნენ და მისი თქმით, მან არაფერი იცოდა მანქანაში მოკლული ადამიანების, ტანსაცმელების ყოფნის და დამარხვის შესახებ.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა განსასჯელი გია იობაშვილი, რომელიც დაპატიმრებამდე თკურტანიძესთან მუშაობდა წარმოების უფროსად. მხედრიონელებთან ახლო ურთიერთობა არ ჰქონია, იცნობდა მათ, როგორც ბორჯომელებს. კურტანიძესთან კი მეგობრობა აკავშირებდა. მისი თქმით, ის არც მხედრიონელი ყოფილა და ბანდის შესახებ არაფერი სმენია. მას 20 ნოემბერს, ოფისში გაუცვნია ივერი მაღრაძე (მოკლული) და სხვა იქ მყოფი პირები, გარდა აკოფიანისა. მას ადრე იცნობდა.

„მე არ ვსვამდი, მაგრამ ივ.მაღრაძის ხათრით ცოტა დავლიე, რადგან წინა დღეს მისი დაბადების დღე იყო. კონფლიქტი ივერი მაღრაძესა და მიშა სამსონაშვილს შორის წარმოიშვა იმის გამო, რომ უკანასკნელმა უარი თქვა ყანწის დალევაზე. მაღრაძე სამსონაშვილს ხელით შეეხო და დედა შეაგინა; სამსონაშვილმაც უპასუხა. ამ დროს გავიგონე სროლის ხმა".

საყურადღებოა ის, რომ იქ მყოფთაგან იობაშვილმა ერთ-ერთ ქალბატონს დაუნახა კალთაში მოთავსებული ავტომატი და მისი აზრით სწორედ მან მოახდინა საბედისწერო გასროლა სამსონაშვილის მიმართულებით.

„ჩემს გვერდით აწ გარდაცვლილი აკოფიანი იდგა, რომელმაც იარაღი ამოიღო, ამის შემხედვარე მეც ამოვიღე იარაღი და ფეხების მიმართულებით გავისროლე. გოჩა თედიაშვილი, ჯუბო საყვარელიძე და პაატა თედიაშვილი სამივე მხრიდან ისროდნენ. კურტანიძეს რაც შეეხება, ის ყანწის დალევამდე გავიდა, რადგან ცუდად იყო. ასე რომ, სროლებში კურტანიძეს არ შეეძლო მონაწილეობის მიღება და იარაღი მის ხელში არ დამინახავს. ის ბიზნესმენი იყო. დაჭრილი სამსონაშვილის ოფისიდან გამოყვანის შემდეგ იქ დარჩნენ პაატა და გოჩა თედიაშვილები და ჯუბო საყვარელიძე".

განსასჯელის, გია იობაშვილის აზრით, საპასუხო სროლის შედეგად 5 ადამიანი დახოცეს პაატა თედიაშვილმა, გოჩა თედიაშვილმა და ჯუბო საყვარელიძემ. მან ისიც აღნიშნა, რომ დაჭრილი მიშა სამსონაშვილის ოფისიდან გაყვანის შემდეგ ის არ დაბრუნებულა.

გ.იობაშვილმა აღიარა ის ფაქტი, რომ ერთ ღამეს გიგა გელაშვილმა მიაკითხა სახლში და თხოვა, რომ საბარგულში მყოფი ჯიმი მერაბიშვილის გვამი (რომელიც გიგა გელაშვილს ცემაში შემოაკვდა) დაემარხა. მან ისიც დასძინა, რომ გამოძიებისას იძულებული იყო მიეცა ყალბი ჩვენება, რადგან შსს-ს თანამშრომლები მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენდნენ.

გ.იობაშვილს ბრალად ედება 5 ადამიანის მკვლელობაში მონაწილეობა და დანაშაულის განუცხადებლობა.

განსასჯელს, ბორჯომის ცენტრალური უნივერმაღის ყოფილ დირექტორს დავით გელაშვილს ბრალად ედება დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა. სასამართლო სხდომაზე დ.გელაშვილმა ბრძანა, რომ მის მიმართ ერთ-ერთი მუხლი ამნისტირებულია და ამიტომ ის არ ცნობს თავს დამნაშავედ, რის შემდეგ სასამართლო კოლეგიას მიმართა შუამდგომლობით, რათა აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალათ გაუსვლელობის ხელწერილით. სასამართლო კოლეგიამ განჩინება გამოიტანა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა იგი. დ.გელაშვილს არანაირი კავშირი არ ჰქონდა მხედრიონთან და გიგა გელაშვილთან, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი მისი კლასელი იყო.

და ბოლოს, სასამართლოს მიშა სამსონაშვილმა მისცა ჩვენება. 20 ნოემბერს მიშა სამსონაშვილმა თკურტანიძესთან მიიყვანა კლიენტი მინერალურ წყალზე ფასის დასადგენად, ხოლო პირველ ჩვენებაში მის მიერ ნათქვამი – რუსთაველის ქუჩაზე დამჭრა ვიღაც უცნობმაო, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სიმართლე მას ფიზიკურ ლიკვიდაციას მოუტანდა. გამოძიების დაწყებამდე ამიტომ იმალებოდა და ელოდებოდა სასამართლოს დაწყებას, რის შემდეგ მისი თქმით, მოწმის სახით სურდა სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა. 20 ნოემბერს ოფისში თუ ვინ ესროლა მას, მან არ იცის, რადგანაც ის ზურგით იდგა.

მსამსონაშვილს არ გააჩნია არანაირი ვერსია იმისა, თუ ვინ მოკლა ოფისში მყოფი 5 ადამიანი: ივერი მაღრაძე, ედუარდ აკოფიანი, ვახტანგ ტუხიშვილი, ნინო კანტიძე და ზაირა დარბაიშვილი. მოსამართლემ ჩვეული იუმორით განტვირთა სხდომაზე გამეფებული დაძაბული სიტუაცია და ბრძანა, რომ თუ განსასჯელთაგან არავის მოუკლავს ეს 5 ადამიანი, მაშინ იქნებ არცკი არიან დახოცილები და სხვისი გვამები აღმოგვიჩენიაო.

**ია ბუკოვსკაია**

# ლატარეა ყველასათვის

## 2 მაისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – №225877; | 70 ლარი – *11049; |
| 1000 ლარი – №637713; | 60 ლარი – *30529; |
| 900 ლარი – №554253; | 50 ლარი – *66988; |
| 800 ლარი – №643450; | 40 ლარი – *66341; |
| 700 ლარი – №382542; | 30 ლარი – *51685; |
| 600 ლარი – №568361; | 25 ლარი – *80391; |
| 500 ლარი – №414549; | 20 ლარი – *64843; |
| 400 ლარი – №346186; | 10 ლარი – ***885; |
| 300 ლარი – №644731; | 10 ლარი – ***405; |
| 200 ლარი – №579660; | 10 ლარი – ***423; |
| 100 ლარი – №519376; | 10 ლარი – ***801; |
| 90 ლარი – *96828; | 10 ლარი – ***273. |
| 80 ლარი – *43167; | |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეჩვიდმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის" ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე – 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის **XVII** ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6229:** გათამაშებაზე შეუძლიათ 9 მაისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა *BMW* მოიგო ლატარიის ბილეთმა **№359429.** ფინური წარმოების ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა **№616106**

## დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე" 1997 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხელმოწერა შეიძლება ქთბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე"-ს (ყოფილი „სოიუზპეჩატი") ხელმოწერის რაიონულ უბნებში. შეგახსენებთ მისამართებს:

- *მოსკოვის გამზირი 18 ტელ. 71-32-87*
- *გლდანის რ-ნი, დუმბაძის 4ა კორპ. ტელ. 62-75-32*
- *დ.გურამიშვილის გამზ. №30 ტელ. 60-80-22*
- *ივ.ჯავახიშვილის (ყოფ.კალინინის) ქ.14 ტელ. 95-87-36*
- *ქეთევან წამებულის (ყოფ.შაუმიანის) გამზ. 61 ტელ. 74-14-47*
- *აკ.წერეთლის გამზ. 73 ტელ. 34-75-51*
- *რ.თაბუკაშვილის ქ.№12*
- *ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ.42 ტელ. 37-47-49; 93-43-97*
- *ჭავჭავაძის გამზ. 46 ტელ. 22-64-58*

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა;

„მაცნე"-გარანტია ხელმომწერისათვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების.

ენდეთ ხელმოწერაში „მაცნე"-ს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

# კაიფვორდი



მიწოლილად: 5.„ბენოს გალში" ნანახი ყურე; 6. ცხოველი, რომლის სახელშიც „ქორებს ბუდე" გაუკეთებიათ; 11. „ორი ტარის" მოყვარული და „ვარდების" თაყვანისმცემელი დედამთილი. (რუს. კავშ. ) (ფილმ.) 12. ამ ყურძნის ჭამისას კი ვისაც თავზე „წანაზარდი აქვს, უწითლდება; 13. სახელი ქალისა, რომელსაც მუდამ „ვალი აქვს"; 15. „დლისით სათქმელი გრძელი" სასმისით; 19. „მარისთვის" ახალი და გაუცვეთავი; 23. „საქებარი" გამოხმაურება მთებისა; 24." სამი უნას" საყვარელი ფინური აბანო; 25. მიკრო – „სამოთხე ონში" (რუს. კავშ.); 26. „თონეში" ჩამოსხმული მეტალი; 27. უცხოელი მსახიობის ჰეპბერნის სახელი; 28. ის, რაც ბევრს ტელეფონი ეგონა და ყურები დაიწვა; 30. „როლებში შეჭრილი დაბმული ბუს" ტრანსპორტი; 32. „საწინაალმდეგო" ბაფთა; 33. ასტროლოგიური ქალიშვილი; 34. „წიგნების კრებულის" მოყვარული კატა (მულტ.)

მიყრდნობილად: 1. „ბანის" მისაცემი ადგილი გემზე; 2. ჰოპის წინასიტყვა; 3. „მწვავედ მოგცემ ულევაშებს" ამ წინასწარმეტყველისთვის (რუს. კავშ.); 4. „ჭიებიანი" პატარა ყურცქვიტა; 7. „ბერში" სახმარი შუბი; 8. „ა – ს ორი" მთავარი არტერია; 9. საკრავი „ფირი"; 10. „უნის" საყვარელი ცირკის მასხარა; 14. ფარისეველი „ნელი"; 16. თაგვობის უკადრისებელი „მურიანი" არსება; 17. „იმერულ გვარზე დაბოლოებული" ვაჟი; 18. კურდღლის მაგიერ მოკლული ძაღლი (ფილმ.); 20. კომპოზიტორი, რომელსაც „მარი ხშირად ჩაეკონება" ხოლმე; 21. „მეორე მუსიკალურ ნოტზე" შექმნილი „ტუზიანი" საცვალი; 22. „ყინვის დროს გამოსაყენებელი ძალოვანი" იარაღი; 29. „შენ"-ს მიერ ატეხილი აყალმაყალი „ბუსადმი" (რუს. ნაწ. კავშ.); 31. „ოლიას" სათამაშო ფილმში.

კობა ბაიდოშვილი

## წინა კაიფვორდის პასუხები

მიწოლილად: 6. ანაბეჭდი; 8. არხანგელსკი; 10. საოშარი; 11. შინელი; 12. ოკეი; 13. ილბალი; 15. ტვინი; 17. მზე; 18. ფონდი; 19. მაიონეზი; 21. მერი; 22. ტორტი; 24. ნარი; 26. იგნასიო; 27. მაიაკი; 28. პრაღა; 29. პონტი; 30. ქარტია; 33. ალიმენტი; 34. იგოეთი.

მიყრდნობილად: 1. ფარსაგი; 2. ბაბონი; 3. ორდინატი; 4. პალესტინა; 5. ალიონი; 7. ჭარმაგი; 9. გრიმი; 14. ღონიერი; 16. ნეილონი; 17. მონტეკრისტო; 20. ალექსანდრა; 23. კორინთა; 24. ნაპრალი; 25. რკალი; 30. ქურთი; 31. რელე; 32. ანტი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444